

თბილისის  
ვანო  
სარაჯიშვილის  
სახელობის  
სახელმწიფო  
კონსერვატორიის  
ტრადიციული  
მრავალხმიანობის  
საერთაშორისო  
ცენტრის  
ბიულეტენი

თბილისი. დეკემბერი, 2012

№ 13

*ახალი ამბები*

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება

ტრადიციული მრავალხმიანობის VI  
საერთაშორისო სიმპოზიუმი

პოეტური მიძღვნა სიმპოზიუმისადმი  
*ქართული ფესვები*

გერლინდე ჰაიდის გახსენება

*უცხოური მრავალხმიანობა*  
მრავალხმიანი სიმღერა მაკედონიაში -  
ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი

*ქართველ ბავშვთა ფოლკლორული  
ანსამბლები*  
„იარამაშაძე“, „ფერხისა“

*უცხოური ფოლკლორული ანსამბლი*  
ანსამბლი „ტრილიუმი“ აშშ-დან

*ქართული სიმღერის მოამბეები*  
ინგილოელი მთქმელები

*უცხოელები ქართული ფოლკლორის  
შესახებ*  
პიტერ გოლდი - ამერიკელი  
ეთნომუსიკოლოგი საქართველოში

ქართული ხალხური შემოქმედების სტუდია  
„ერუდას“ სასწავლო პროგრამის  
პრეზენტაცია

*ქართული სიმღერის უცხოელი  
შემსრულებლები*  
ანსამბლი „მადრიქალი“ საფრანგეთიდან

*ძველი პრესის ფურცლებზე*  
კახი როსებაშვილი  
„ქუთაისური მრავალხმიანი“

*ერთი სიმღერის ისტორია*  
„ხასანბეგურა“

## ახალი ამბები

### საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება (იენისი-დეკემბერი, 2012)

#### ფესტივალები და კონფერენციები

**29.06-1.07.2012** – ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართა „დამწერლობის ფესტივალი“, რომლის დახურვის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო ანსამბლ „დიდგორმა“.

**2012 წლის ივლისი** – გაიმართა ფესტივალი „არტ-გენი“, რომელსაც **3-12.07** საქართველოს რეგიონებმა უმასპინძლა, **21-29.07** კი – თბილისმა.

**17.07.2012** – ქ. საჩხერეში გაიმართა საგალობლების ფესტივალი.

**9-10.07.2012** – რუსეთში, ქ. პეტერბურგში „მართლმადიდებლური მუსიკის ფესტივალის“ ფარგლებში ანსამბლ „დიდგორმა“ გამართა სოლო კონცერტი, ორ განყოფილებად (საეკლესიო საგალობლები და ხალხური სიმღერები) და ჩაატარა ლექცია ქართული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის შესახებ.

**24-28.10.2012** – ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა ჩაატარა „ტრადიციული მრავალხმიანობის VI საერთაშორისო სიმპოზიუმი“.

**1-3.11.2012** – ქ. ბათუმში გაიმართა საერო და სასულიერო მუსიკის VII საერთაშორისო ფესტივალი და კონფერენცია, რომელიც გიორგი გარაყანიძის ხსოვნას მიეძღვნა. ამიერიდან ბათუმის ფესტივალს მისი სახელი მიენიჭა.

**2012 წლის ოქტომბერი** – ანსამბლ „რუსთავმა“ მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ფოლკორის ფესტივალში, რომელიც პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში გაიმართა.

**29.11-03.12.2012** – საფრანგეთის ქალაქ სტრასბურგში საშობაო ბაზრობის ფარგლებში განხორციელდა კულტურული ღონისძიებების პროგრამა ეგიდით „ქართული სოფელი“, რომელშიც საქართველოდან მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა „რუსთავი“ და „ლაშარი“.

**27-30.11.2012** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა ვახტანგ კოტეტიშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო დღეები.

#### კომპაქტ-დისკები, მასტერ-კლასები, სტუდიების გახსნა და სხვ.

**2012 წლის სექტემბერი** – გამოვიდა ანსამბლ „ბასიანის“ ახალი აუდიო ალბომი.

**2012 წლის ოქტომბერი** – ანსამბლმა „სახიობამ“ გამოსცა ახალი CD 2011 წლის სოლო კონცერტის ცოცხალი ჩანაწერით.

**2012 წლის ოქტომბერი** – ანსამბლმა „შაენაბადამ“ გამოსცა ქართული გალობის შემსწავლელი CD.

**2012 წლის ნოემბერი** – ანსამბლ „რუსთავმა“ ჩაწერა საგალობლების CD.

**2012 წლის დეკემბერი** – რადიო „მუზამ“ მონაწილეობა მიიღო ევროპის მაუწყებელთა კავშირის მიერ ორგანიზებულ საშობაო ხალხური სიმღერების პროექტში: „მუზამ“ მიაწოდა კავშირს ორი ქართული ხალხური სიმღერა – გურული „ალილო“ ანსამბლ „რუსთავის“ და კახური „ალილო“ ანსამბლ „შაენაბადას“ შესრულებით. ამ ღონისძიების ფარგლებში ევროპის წამყვანი რადიოსადგურები თავიანთ მსმენელს შობას „ალილოთი“ მიულოცავენ.

**2012 წლის დეკემბერი** – ანსამბლმა „სათანაომ“ ჩაწერა „იესო ტკბილის პარაკლისის“ საგალობლების CD.

**2012 წლის დეკემბერი** – ანსამბლ „ლაშარი“ ახალი CD ჩაწერა.

#### ექსპედიციები

**21-28.10.2012** – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი გიორგი კრავეიშვილი იმყოფებოდა ხელვაჩაურის რაიონის სოფლებში: სარფსა და კვარიათში, ასევე, თურქეთში, ქალაქ

ხოფასა და ხოფის რაიონის სოფლებში: ქემდღაშასა და სარფში, სადაც ჩაიწერა ლაზური ფოლკლორის ნიმუშები.

**18-25.11.2012** – ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი გიორგი კრავეიშვილი ფილოლოგ მართა ტარტარაშვილთან ერთად იმყოფებოდა ჰერეთში, კერძოდ, კახის რაიონის სოფლებში: ალიბეგლო, ალათემური, მეშაბაში.

### გასტროლები

**1-29.10.2012** – ანსამბლმა „ბასიანმა“ მოაწყო საკონცერტო ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში და ჩაატარა კონცერტები სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებსა და ტაძრებში:

**ენ არბორი, მიჩიგანი;** წმ. ფრანსის ასიზელის საეკლესიო უნივერსიტეტის მუსიკალური საზოგადოება (უმს)

**შემფინ, ილინოისი;** ილინოისის უნივერსიტეტის ფოლინგერის დიდი დარბაზი, საშემსრულებლო ხელოვნების ქრანერთ ცენტრი

**სარასოტა, ფლორიდა;** ასოლო ისტორიული თეატრი

ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალი

**გეინსვილი, ფლორიდა;** ფლორიდის საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტის აუდიტორია

**ჰანოვერი, ნიუ ჰემფშირი;** ჰოფქინსის ხელოვნების ცენტრის აუდიტორია

დართმაუს კოლეჯი

**ბერქლი, კალიფორნია;** პირველი სამრევლო ეკლესია ქელ ფერფორმანსიზ,

კალიფორნიის უნივერსიტეტი

**სანტა ბარბარა, კალიფორნია;** პირველი მეთოდისტური ეკლესია უცსბ ხელოვნება& ლექციები

**ნიუ იორკი, ნიუ იორკი;** წმინდა ღვთისმშობელ მარიამის ეკლესია ლინკოლნ ცენტრი, „უაით ლაით ფესტივალ“

**6-12.12.2012** – ანსამბლი „ბასიანი“ იმყოფებოდა საგასტროლოდ საფრანგეთში. ყველაზე აღსანიშნავია კონცერტი “ღონდ ტეატრ ე სენტრ დ’ად, ველიზი ვიიაკუბლაიში”

**21.10-14.11.2012** – ანსამბლი „სახიობა“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ჩაატარა კონცერტები, მასტერ-კლასები და ლექცია-კონცერტები.

**29.09-7.10.2012** – ანსამბლმა „სახიობამ“ უმასპინძლა დიდ ბრიტანეთში მოქმედ ქართულ ანსამბლს „მასპინძელი“. სტუმრებთან ერთად, ანსამბლის ხელმძღვანელი და მისი წევრები იმყოფებოდნენ გურიამში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ბუკისციხეში.

### კონცერტები და საღამოები

**14.06.2012** – გოეთეს ინსტიტუტში გაიმართა მსოფლიოს ხალხთა მუსიკის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ანსამბლმა „თუთარჩელამ“.

**25.07.2012** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ფილიმონ მგალობლისადმი მიძღვნილი საგალობლების საღამო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

**7.08.2012** – ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ანსამბლ „ბასიანისა“ და ფინეთის ქალაქ ტურკუს მამაკაცთა გუნდის – „ნასკალიტ“-ის ერთობლივი კონცერტი.

**6.09.2012** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ძმები კარბელაშვილების ხსენების დღისადმი მიძღვნილი საღამო-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

**11-10.2012** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ეთნომუსიკოლოგ თინათინ ჟვანიას დაბადების დღისადმი მიძღვნილი ხსოვნის საღამო.

**13.10.2012** – საპატრიარქოს უნივერსიტეტში გაიმართა რაჟდენ ხუნდაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

**23.11.2012** – ქ. რუსთავის კულტურის სახლში გაიმართა ფოლკლორული სპექტაკლი „ბალადა სიყვარულზე“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა „მე რუსთველი“ და „თუთარჩელა“.

**4.12.2012** – კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ვახუშტი კოტეტიშვილის სახელობის ხალხური პოეზიის საღამო „ლექსო, არ დაიკარგები“.

**7.12.2012** – თბილისის რკინიგზელთა კულტურის სახლში გაიმართა ქართული გალობის აღდგენის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საგალობლების საღამო.

**17.12.2012** – კოტე მარჯანიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა ცნობილი მომღერლისა და მესაკრავის, თუშური სიმღერებისა და მელოდიების შემსრულებლის, ლელა თათარაიძის შემოქმედებითი საღამო.

**23.12.2012** – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანსამბლ „სახიობას“ სოლო კონცერტი.

### ახალი გამოცემები

**2012 წლის ოქტომბერი** – საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში გაიმართა სევეტიცხოვლის სკოლის სადაკილოს საგალობლების კრებულის I ტომის პრეზენტაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო „ანჩისხატის ტაძრის გუნდმა“.

**2012 წლის სექტემბერი** – სტუდია „შავნაბადაშ“ გამოსცა წიგნი „ილიკო გუჯაბიძე“ (ბიოგრაფიული გამოცემა), რომელიც წარმოადგენს პირველ ტომს ციკლისა „ლანჩხუთელი ღობბარები“.

**2012 წლის სექტემბერი** – გამოიცა სამეცნიერო-პოპულარული ფოტოალბომი „ძმები კარბელაშვილები“ (ავტორი: ლ. ტოგონიძე), რომელიც ასახავს მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობას და კომპაქტ-დისკი „კარბელაანთ კილო“, რომელშიც შესულია სვადასხვა თაობის მომღერალ-მგალობელთა ანსამბლების მიერ შესრულებული კარბელაანთ კილოს საგალობლები.

### მოამზადა მაკა ხარძიანმა

## ტრადიციული მრავალხმიანობის VI საერთაშორისო სიმპოზიუმი

თბილისმა უკვე მეექვსედ უმასპინძლა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმს.

ჩვენი მკითხველის გარკვეულმა ნაწილმა კარგად იცის, რა უძლოდა წინ პირველ სიმპოზიუმს, მაგრამ დანარჩენებისათვის მოკლედ აღვნიშნავ, რომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია 1980-იანი წლებიდან მრავალხმიანობის საერთაშორისო კონფერენციებით თანმიმდევრულად მიდიოდა ამ მოვლენისაკენ. პირველ სიმპოზიუმს ორი წლით ადრე წინ უძლოდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ფონდ ღია საზოგადოება – საქართველოს მხარდაჭერით ჩატარდა (2000წ.). ამ ტრადიციული კონფერენციების სიმპოზიუმად სახელდების იდეა 2002 წელს კონსერვატორიის მაშინდელ რექტორს ქ-ნ მანანა დოიჯაშვილს ეკუთვნოდა. აქედან დაწყებული, ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრთან, კერძოდ, ბ-ნ ანზორ ერქომაიშვილთან თანამშრომლობითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით ჩვენმა სამეცნიერო ფორუმებმა სულ სხვა მასშტაბი შეიძინეს.



ვსარგებლობ შემთხვევით და გამოვხატავ დიდ მადლიერებას მათი მისამართით, ისევე, როგორც ტმკსც-ის პატარა კოლექტივისა და ჩვენი ცენტრის საზღვარგარეთული ბიუროს ხელმძღვანელის დრ. იოსებ ჟორდანიას მიმართ, რომელთაც აწევთ სიმპოზიუმის მოსამზადებელი სამუშაოების მთელი სიმძიმე.

პირველი სიმპოზიუმის შემდეგ უკვე ათი წელი გავიდა და, რადგან ათვლას სიმპოზიუმებიდან ვიწყებთ, ალბათ, შეიძლება ვთქვათ, რომ 2012 წელი საიუბილეოა. ამ ათი წლის მანძილზე სიმპოზიუმში მონაწილეობდა 100-მდე მეცნიერი მსოფლიოს 29 ქვეყნიდან, ქართული და მსოფლიოს ხალხთა მრავალხმიანობის შემსრულებლები 16 ქვეყნიდან. ამ შთამბეჭდავი სტატისტიკის მიღმა დგას

მსოფლიოში აღიარებული მეცნიერების სახელები – დიტერ ქრისტენსენი და ტიმოთი რაისი (აშშ), ფრანც ფოიდერმაირი (ავსტრია), სუზან ციგლერი (გერმანია), დაივა რაჩიუნაიტე (ლიტვა), ეთნომუსკოლოგიაში უმაღლესი – ფუმიო კოიძუმის იაპონური პრემიის ღაურეატები: სიმპა არომი (საფრანგეთი), იზალი ზემოვსკი (აშშ/რუსეთი) და იოსებ ჟორდანი (ავსტრალია/საქართველო) და სხვ.



თბილისის სიმპოზიუმების განსაკუთრებულობას მისი თემატიკის მრავალფეროვნება შეადგენს. თუმცა, ალბათ, ასევე ძნელია, იპოვოთ სამეცნიერო ფორუმი, რომელსაც მუდმივი ერთგული მონაწილეები ჰყავს – დიტერ ქრისტენსენი, ფრანც ფოიდერმაირი, იზალი ზემოვსკი, სიმპა არომი, იოსებ ჟორდანი, დაივა რაჩიუნაიტე ის მეცნიერები არიან, ვინც სიმპოზიუმებისა და ჩვენი ცენტრის სათავეებთან იდგნენ და თითქმის ყოველ სიმპოზიუმში მონაწილეობით განაპირობეს მათი მაღალი სამეცნიერო დონე. უფრო მეტიც, ისინი თავიანთი საინტერესო წინადადებებით ამდიდრებენ სიმპოზიუმების შინაარსობრივ მხარეს.

სწორედ მათი წინადადებით დაიგეგმა ტრადიციული მრავალხმიანობის VI საერთაშორისო სიმპოზიუმზე ორი მრგვალი მაგიდა.



პირველი მიეძღვნა ქართული და ევროპული მრავალხმიანობის მოდალობისა და ჰარმონიის საკითხებს და მისი ინიციატორები იყვნენ სიმპა არომი (საფრანგეთი) და პოლო ვალეჰო (ესპანეთი), რომლებიც აგერ უკვე რამდენიმე წელია სწავლობენ ქართული მრავალხმიანობის სტრუქტურას. მათივე რეკომენდაციით ეწვივნენ სიმპოზიუმს შუა საუკუნეების ევროპული პოლიფონიის აღიარებული მკვლევრები, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი სუზან რანკინი და მადრიდის კომპლუტენსე უნივერსიტეტის პროფესორი არტურო ტელო რუის-პერესი. საქართველოს მხრიდან მონაწილეობდნენ დრ. სვიმონ ჯანგულაშვილი, დრ. დავით შუღლიაშვილი, დრ. თამაზ გაბისონია და სხვ.



მეორე მრგვალი მაგიდა თემაზე „ახალი აზროვნება ადამიანის ევოლუციისა და ქცევის შესახებ: მრავალხმიანობის როლი ადამიანის ჩამოყალიბებაში“ გაიმართა დიტერ ქრისტენსენის თაოსნობით.



დისკუსიის იმპულსი გახდა იოსებ ჟორდანიას ინგლისურენოვანი წიგნი „რატომ მღერის ხალხი?“ თავად ჟორდანიას გარდა დამსწრეთ თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს ცნობილმა ამერიკელმა ეთნომუსიკოლოგმა და ანთროპოლოგმა პიტერ გოლდმა, პროფ.

ბო ლავერგრენმა, პროფ. რუსუდან  
წურწუშიამ და სხვ.



უკანასკნელ ხანს ტრადიციად დამკვიდრდა სიმპოზიუმზე ერთი სპეციალური თემის გამოცხადება. წელს ასეთად შერჩეული იქნა „ტრადიციული პოლიფონიის შედარებითი შესწავლა“. დრ. ჟორდანიას აზრით, ეთნომუსიკოლოგიის მიერ მსოფლიოს ეგზოტიკური კულტურების თანმიმდევრული ათვისების კვალდაკვალ, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩრდილში გადასული კვლევის ეს მეთოდი სულ უფრო აქტუალური ხდება, რაც დაადასტურა კიდევ თავად ი. ჟორდანიას, ნ. ციციშვილის, ე. იოვანოვიჩისა და ქ. ბაიაშვილის მოხსენებებმა.

სიმპოზიუმის სესიებზე წარმოდგენილი სხვა თემებიდან – ტრადიციული პოლიფონიის ზოგადთეორიული და მუსიკალურ-ესთეტიკური ასპექტები, ტრადიციული პოლიფონიის რეგიონული სტილები და მუსიკალური ენა, ტრადიციული მუსიკის ისტორიული ჩანაწერები – გამოვყოფდი უკანასკნელს, როგორც ქართული ეთნომუსიკოლოგიისათვის უმნიშვნელოვანესს. ამ რუბრიკის ქვეშ წარმოდგენილი საპანელო მოხსენებების – „პირველი მსოფლიო ომის ქართველ ტყვეთა ჩანაწერები გერმანიისა და ავსტრიის არქივებში“ – ავტორებმა სუზან ციგლერმა (ბერლინის ფონოგრაფიკი) და ნონა ლომიძემ, გერდა და ფრანც ლეხლაიტნერებმა (ვენის ფონოგრაფიკი) დაგვარწმუნეს, რომ არქივებში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს ამ მასალის არა მარტო შესასწავლად, არამედ პუბლიკაციისთვისაც, რაც იმედს გვაძლევს, რომ ბოლოს და ბოლოს, ქართველ მეცნიერებისა და მოყვარულებისათვისაც ხელმოსაწვდომი გახდება მათი წინაპრების მიერ ტყვეობაში ჩაწერილი ქართული ხალხური სიმღერები.

როგორც ჩანს, ეთნომუსიკოლოგიაში ასევე სულ უფრო აქტუალური გახდება მუშაობის ე.წ. კაბინეტური მეთოდი, როცა

მეცნიერები სულ უფრო ხშირად მიუბრუნდებიან უძველეს ფონოჩანაწერებს.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ისტორიულ ჩანაწერებს ეყრდნობოდა ჟანა პარტლასისა (ესტონეთი) და დაივა რაჩინაიტე-ვიჩინიენეს (ლიტვა) მოხსენებებიც.



ტრადიციული პოლიფონიის ზოგად-თეორიული და მუსიკალურ-ესთეტიკური ასპექტების მრავალფეროვანი სპექტრი შემოგვთავაზეს გია ბაღაშვილმა, თამაზ გაბისონიამ, ნინო ფირცხალავამ (საქართველო), მათ ჰარვიმ (ავსტრალია), ბარბარა ელისონმა (ნიდერლანდები), ანდრეა კუზმიჩმა (კანადა). როგორც ყოველთვის, მოხსენებების დიდი ნაწილი დაეთმო ტრადიციულ რეგიონულ სტილებსა და მუსიკალურ ენას, რამაც შესაძლებლობა მოგვცა შედარებით ნაცნობ მოვლენებთან ერთად გავცნობოდით ახალსაც. ქართულ მრავალხმიანობასთან ერთად (გიორგი გარაყანიძე, ნინო ღამბაშიძე და ნინო მახარაძე, ვიქტორია სამსონაძე (საქართველო), კაე ჰისაოკა (იაპონია)) წარმოდგენილი იყო მოხსენებები ლატვიურ (ანდა ბეიტანე), რუსულ (ნაილია ალმეევა, მისეილ ლობანოვი), ჰუტერიტების (მეთიუ ნაითი), პორტუგალიურ (მარია დე საო ხოსე კორტე-რეალი, როსარიო პესტანა), მაკედონიურ (ველიკა სტოიკოვა-სერაფიმოვსკა) იაპონურ (კოჩი რიე), ტიბეტურ (სუ ვეი, ვანგ ქი) მრავალხმიანობაზე. ეს უკანასკნელი სიმპოზიუმის აღმოჩენად იქცა და მრავალხმიანხველი პიტერ გოლდიც კი გააოცა. ასევე უაღრესად საინტერესო აღმოჩნდა ერთადერთი მოხსენება საკრავიერ მუსიკაზე, ე. წ. ანგულარულ არფაზე (ბო ლავერგრენი), მით უფრო, რომ აუდიტორიას შესაძლებლობა ჰქონდა მოესმინა იგი ცოცხალი შესრულებით (შემსრულებელი ტომოკო სუგაგარა).



აგერ უკვე მეორედ, თბილისის სიმპოზიუმში მის მონაწილეებს აჩვენებს დოკუმენტურ ფილმებს მრავალხმიანობაზე. წელს წარმოდგენილი იყო სამი ფილმი. ორი მათგანი – სამაკი ვანე ჯგუფის (ესპანეთი) ფილმი „აფრიკა: რიტმი“, რომელიც პოლო ვალეჰოს საექსპედიციო მასალების მიხედვითაა გადაღებული და რენატო მორელის (იტალია) „ხმები მთებიდან: სამი დღე პრემანაში“ – უკვე არაერთი საერთაშორისო ფესტივალისა და კონკურსის გამარჯვებულია. მესამე ფილმის „თბილისური დუღუკი: ელდარ შოშიტაიშვილი და მისი მოწაფეები“ მსოფლიო პრემიერა კი სწორედ თბილისში შედგა. მისი ავტორები არიან ცნობილი შვეიცარიელი მუსიკალური რეჟისორი ჰუგო ზემპი (რომლის ასევე საყოველთაოდ აღიარებული ორი ქართული ფილმი სოსო ჩხაიძის „გურულ სიმღერასთან“ ერთად ნაჩვენები იყო 2012 წლის სიმპოზიუმზე) და ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი ეთნომუსკოლოგი ნინო ციციშვილი.

როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია სიმპოზიუმის საკონცერტო პროგრამამ.



სტუმრებისათვის საკმაოდ მოულოდნელი ამონხდა პირველი კონცერტი, რომელიც საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მრავალხმიანობას მიეძღვნა. ტრადიციულად დიდი წარმატება ხვდა წილად საქართველოს სხვადასხვა კუთხის მომღერლებს, რომელთა შესრულებამ მსმენელებს კიდევ ერთხელ შეაგონებინა ნამდვილი ხალხური სიმღერის სურნელი.



სიმპოზიუმის დახურვის გალა კონცერტს ტრადიციულად, განუმეორებელი სიბილი შესძინეს ქართული მრავალხმიანობის უცხოელმა შემსრულებლებმა – ანსამბლებმა „მასპინძელი“ (დიდი ბრიტანეთი), „დარბაზი“ (კანადა), „გორანი“, „ბრიზინგ სფეისი“, „მეღებურნის ქართული გუნდი“ (ავსტრალია), ტრილიუმი“ (საფრანგეთი) და „დოლური“ (შვედეთი).



შესაძლოა, ჩემი ქართველი კოლეგებისათვის მოულოდნელი და საკამათო აღმოჩნდეს, მაგრამ მინდა გულახდილად აღვნიშნო, რომ ზოგჯერ ქართულ სიმღერას უცხოელები უფრო გულწრფელად, უფრო უშუალოდ და ემოციურად ასრულებენ, ვიდრე თავად ქართველები.



მრავალფეროვანი, სამეცნიერო თვალსაზრისით კი – მაღალი დონის და, ამრიგად, ჩვენი კულტურული ცხოვრების წარმომადგენლობით და მასშტაბურ მოვლენად იქცა.

**რუსუდან წურჭუბია**

*ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის  
საერთაშორისო ცენტრის დირექტორი*

მე მხედველობაში არა მაქვს წინაპართა ნამდერისადმი მიმგავსების ხარისხი ან არტიკულაციის სიზუსტე. მე ვგულისხმობ იმ შინაგან მუხტს, ენთუზიაზმს, მოტივაციას,



რომელიც ადამიანს ამღერებს და სიმღერის ყოველ შესრულებას ცოცხალ პროცესად აქცევს. ცხადია, მსგავსი შესრულების მოწმე ქართული ანსამბლების კონცერტებზეც არაერთხელ გავმხდარვართ და სწორედ ასეთი იყო ანჩისხატის ტაძრის გუნდის მიერ დასკვნით კონცერტზე შემოთავაზებული ურთულესი ნაღური „ჩოჩხათურა“, რომელმაც დირსეულად დაავვირგვინა ტრადიციული მრავალხმიანობის VI საერთაშორისო სიმპოზიუმი.



აღსანიშნავია, რომ როგორც ქართველი, ისე უცხოელი მონაწილე მეცნიერების, შემსრულებლებისა და დამსწრე საზოგადოების აზრით, სიმპოზიუმი კარგად იყო ორგანიზებული, შინარსობრივად იყო უაღრესად



## პოეტური მიძღვნა სიმპოზიუმისადმი

წლებანდელ სიმპოზიუმს ცნობილ ამერიკელ ეთნომუსიკოლოგ პიტერ გოლდთან ერთად სტუმრობდა მისი მეგობარი, ამერიკელი მოქანდაკე, მხატვარი, პოეტი, ქნი ვიჯალი ჰამილტონი, რომელმაც ქართულ მრავალხმიანობას პოეტური სტრიქონები მიუძღვნა



### „ქართული ფესვები“

ძველი გალობა გაზაფხულის ფერებად  
ფეთქავს  
და ღრმად სულში ჩაიწრიტება  
საგალობელი.  
მრავალი გონი ერთ არსებად შეიკვრის  
უმაღ  
და აღმოხდება ჰარმონიის სამადლობელი.  
ჰარმონია ქლერს, სამყაროს შვილთ  
აერთიანებს,  
ძირძველი ჰანგის მსუყე ბანი განსწმენდს  
ცოდვილთა,  
მარადიული საწყისია ვითარცა მიწა,  
სრულყოფილებად გარდააქცევს ბანი  
ყოველთა.  
მუღერი სიმებით აზვიროთდება სისხლი  
ძარღვებში  
და განივთდება წამიერად დამათრობელი,  
ბგერათ ქმნადობა იზვიმებს სულსა და  
გონში,  
უხმაურო მარადისობის თანამფლობელი.

ვიჯალი ჰამილტონი  
თარგმნა ქეთევან ბაიაშვილმა

## გერლინდე ჰაიდის გახსენება



გერლინდე ჰაიდი – ვენის მუსიკისა და საშემსრულებლო ხელოვნების უნივერსიტეტის ხალხური მუსიკის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, მკვლევარი და მოღვაწე კარგად იყო ცნობილი საერთაშორისო ეთნომუსიკოლოგიური წრეებისათვის. მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჩვენც გვხვდა წილად: 2004 წ. გერლინდე თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის II საერთაშორისო სიმპოზიუმს სტუმრობდა. მაშინ მან უნიკალური ავსტრიული იოდლი წარმოგვიდგინა და ამ არაჩვეულებრივი ფენომენის მშვენიერებას გვაზიარა. შემდეგ, როდესაც მომდევნო სიმპოზიუმზე იოდლის შემსრულებლების მოწვევა გვინდოდა, სწორედ მან გვირჩია, მიგვემართა შესანიშნავი ავსტრიული ტრიოს „ლინდაბრუნერ დრაიგეზანგისათვის“ და თავადვე დაგვეხმარა ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. ანსამბლი 2010 წელს წარმატებით წარსდგა თბილისის V სიმპოზიუმის სტუმრებისა და ქართული აუდიტორიის წინაშე. ჩვენი თანამშრომლობა შემდეგაც გაგრძელდა: ტმკსც-ის №10 ბიულეტენისათვის გერლინდე ჰაიდმა მოგვაწოდა საინტერესო სტატია შნიბერგის (ქვემო ავსტრიის) მრავალხმიანი სიმღერის შესახებ.

ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ მოგვიხდა თანამშრომლობა ამ შესანიშნავ მეცნიერთან და საოცრად გულითად, სიკეთით საგსე ადამიანთან, რომლის ხსოვნა მუდამ დარჩება იმათ გულებში, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია მასთან შეხვედრის პატივი.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის  
საერთაშორისო ცენტრი

## უცხოური მრავალხმიანობა

### მრავალხმიანი სიმღერა მაკედონიაში – ზოგიერთი ძირითადი მახასიათებელი



ველიკა სტიკოვა-სერაფიმოვსკა

მაკედონია განსაკუთრებით მდიდარია მრავალფეროვანი და ზოგ რეგიონში ჯერ კიდევ კარგად შემონახული ხალხური მუსიკით. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მდებარე ეს რეგიონი მდებარეობს ბევრი ისტორიული მოვლენის გზაჯვარედინზე, რომლებმაც მაკედონიის კულტურულ მემკვიდრეობაში თავისი კვალი დატოვეს. სხვადასხვა კულტურების გავლენის მიუხედავად, მაკედონიელებმა შექმნეს საუკუნოვანი რწმენების უნიკალური ზეპირი ტრადიცია, რომელიც დღესაც სრულდება და რომელიც მოიცავს მაკედონიური ტრადიციული კულტურის ბევრ ანთროპოლოგიურ და სოციალურ ელემენტს.

მაკედონიური ტრადიციული მუსიკის ესთეტიკურ და ფუნქციონალურ კვლევას ხალხური სიმღერა უფრო მაღალ სამეცნიერო დონეზე აყავს და პირველადი იდუმალი და ბუნებრივი გარემოს მიერ ადამიანში შთაგონებულ და შექმნილ შინაგან მითიურ და ტრადიციულ წარმოდგენებს შორის აშკარა განსხვავებას ავლენს. სიმღერის ტიპიდან, დანიშნულებიდან და გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მაკედონიური სიმღერა შეიძლება იყოს ერთ-, ორ- ან სამ-ხმიანი. ერთხმიანი სიმღერა ძირითადად გვხვდება ცენტრალურ და სამხრეთ-დასავლეთ მაკედონიაში, ხოლო ყველა სხვა რეგიონისთვის დამახასიათებელია ბურღონული სიმღერა.

სუფთა სამხმიანი სიმღერა გვხვდება ქალთა რეპერტუარში მაკედონიის, ალბანე-

თისა და საბერძნეთის გზაჯვარედინზე მდებარე რეგიონებში. ორხმიანი სიმღერა გავრცელებულია დასვლეთ, ჩრდილო-დასავლეთ, ჩრდილოეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ მაკედონიაში. ამ ზონისათვის დამახასიათებელია ბურღონული ტიპის სუფთა ორხმიანი სიმღერა, სადაც ბანი შესაძლოა იყოს სტატიკური და იღვეს ერთ ძირითად ტონზე, ან მოძრაობდეს ძირითად ტონსა და მის ქვედა ტონს შორის. ორივე შემთხვევაში, ბურღონული სიმღერა ემყარება ბოლო ტონს, რომელიც სიმღერის შესრულების დროს საყრდენი ხდება. ამ სიმღერებს აქვთ ვიწრო სივრცე, ორ ხმას შორის მეორადი ურთიერთობით დომინირებული განუვითარებელი მელოდია. რეგიონის თავისებურებიდან გამომდინარე, სიმღერის არსებობის ბუნებრივი გარემო და ფუნქცია, გამოაძახებს ჰპოვებს ხმათა შორის ურთიერთობაში, სადაც ორი ტონის მწკრივში დროგამოშვებით მოძრავი სეკუნდების სისწორე ჰეტეროფონულ ეფექტს ქმნის. თუმცა, ზოგჯერ იგივე ურთიერთობას ორ ხმას შორის შესაძლოა ჰქონდეს უფრო ნაზი და სივრცული ჟღერადობა, რაც ისევე და ისევე რეგიონის ბუნებრივ გარემოსა და სიმღერის ფუნქციაზეა დამოკიდებული.

აღმოსავლეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ და პირინეის მაკედონიის ქალთა სარიტუალო რეპერტუარისთვის (ქრისტიანობამდელი რიტუალები *ვოლიცია*, *ლაზარიცა*, *ვიურგოვდენ*, *აღდგომის*, *მკისა* და *საქორწილო სიმღერები*) დამახასიათებელია ბურღონული სიმღერა.

ამგვარი ტიპის ორხმიანი ბურღონული სიმღერა გვხვდება მამაკაცთა რეპერტუარშიც, თუმცა საკმაოდ იშვიათად, ძირითადად ძველი თაობის შესრულებით და მკაცრად განსაზღვრულ – ლირიკული და ეპიკური ჟანრის სიმღერებში. სიმღერისა და ტექსტის მიმართება ხშირად ასიმეტრიულია, განსაზღვრულ ადგილებზე განმეორებადი მისამდერით, გაჩერებით სიმღერის შუაში და წამოაძახილებით სტროფის ბოლოს. სიმღერის დროს ჩნდება ღრმა, ფუნქციონალური დატვირთვის მქონე ორნამენტები. ეს მიუთითებს ამ ტიპის ორხმიანი სიმღერის ძველ წარმოშობაზე.

ჩრდილო-დასავლეთ მაკედონიისათვის დამახასიათებელია ბურღონული სტილის მამაკაცთა ორხმიანი სიმღერა მოძრავი ბანით, რომელიც პერიოდულად სამხმიან სიმღერას ქმნის. ამ რეგიონისთვის ასევე დამახასიათებელია ქალთა წმინდა ჰეტეროფონიული სიმღერა. ქალთა ჰეტეროფონულ ჟღერადობაში თითოეულ ხმას მკაფიოდ განსხვავებული ფუნქცია აქვს, რაც შემთხვევითობას გამორიცხავს. ეს უძველესი სოფლური სიმღერის შრეა, რომელიც უკვე 40

წელზე მეტია აღარაა პრაქტიკაში. მაგრამ მაკედონიის სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, სადაც ჰეტეროფონია სეკუნდურ სიხშირესა და ჯგუფური სიმღერას ემყარება, ამ სიმღერებში ბანი გაბმული და აღმავალია, რომელიც გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ხმას ზევით ექაჩება. ძირითადი ხმა, რომელსაც მელოდია მიჰყავს, ხელმძღვანელობს სიმღერის პროცესს ბანის ხმის გარშემო. წამყვანი ხმის ფუნქციონალობა შესაძლოა, შეამჩნიოთ განსხვავებული ტექსტის თქმით, წამოძახილებითა და ქაოტურობით, რაც მას ბანის ხაზისგან გამოჰყოფს. ჩრდილოეთ მაკედონიის მთიან რეგიონში გვხვდება მოძრავი ბანის მქონე ორხმიანი ბურდონული სიმღერა. აქ ბანი მოძრაობს ძირითადი ტონიკიდან სეკუნდით ქვევით, მაგრამ ამ დროს ეს მოძრაობა ფუნქციონალურია. ხმებს შორის ვერტიკალური ურთიერთობის ფარგლებში ასევე მკაფიოდ უღერს ტერციული ინტერვალი, რომელზეც ხმები ხშირად ისვენებენ. ხმებს შორის უფრო განვითარებული ურთიერთობა გვხვდება პირინეის მაკედონიაში (დღეს ბულგარეთის შემადგენლობაში მყოფი მაკედონიის აღმოსავლეთი ნაწილი). ამ სიმღერებში, განსაკუთრებით მამაკაცთა რეპერტუარში, ყოველთვის ერთი ხმა იწყებს. მეორე ფრაზაში ჩნდება უცვლელი ბანი, რომელიც ფუნქციას სიმღერის ბოლომდე ინარჩუნებს. მსგავსი დამოკიდებულება გვხვდება სამხრეთ მაკედონიის ქალთა რეპერტუარშიც, სადაც პირველ სტროფში ერთი ხმა მღერის, ხოლო მელოდიური ფრაზის გამეორებისას ხმები იყოფა და იქმნება ორხმიანობა უცვლელი ბანით.

ამ რეგიონისგან განსხვავებით, ეგეოსის მაკედონიაში გვხვდება ხმებს შორის უფრო მეტად განვითარებული დამოკიდებულება, სადაც ქვედა ხმა მიჰყვება ძირითად მელოდიურ ხაზს, ხოლო ზედა ხმა ქმნის ტერციასა და კვარტაზე დამყარებულ ხაზს. ამ შემთხვევაში ზედა ხმა თანმხლები ხმის ფუნქციას იძენს.

ძალიან საინტერესო მრავალხმიანი სიმღერა გვხვდება ეგეოსის მაკედონიის დასავლეთ ნაწილში (საბერძნეთი), ეს არის ალბანური „ტოსკას“ მსგავსი ქალთა სამხმიანი სიმღერა. ამ შემთხვევაში მელოდიას პირველი ხმა იწყებს და სიმღერის ბოლომდე მიჰყავს. მეორე ხმას „მიჰყავს“ ან „აბრუნებს“, ის ხან უერთდება პირველ ხმას, ხან კი ასრულებს ძირითადი მელოდიის მსგავს მელოდიას. მესამე ხმა ერთ ტონზე ჩერდება, როგორც ბანი, ზოგჯერ კი დაბლა ეშვება ქვედა ტონზე (სუბტონიუმში).

ეგეოსის მაკედონია მღებარეობს მაკედონიის, ალბანეთისა და საბერძნეთის საზღვარზე. ადრე ის დასახლებული იყო ქრისტიანი ეთნიკური მაკედონიელებითა და ვლახებით, რაც მიუთითებს მათ ახლო ურთიერთობასა და ორმხრივ გავლენაზე. სამწუხაროდ, ამ რეგიონიდან მაკედონიელების ძალადობრივი განდევნის შემდეგ სიმღერის ეს ტიპი შემონახულია მხოლოდ არქივებსა და ეგეოსის მაკედონიიდან დევნილი ხალხის მეხსიერებაში.

საბუნდუნოდ, მაკედონიაში ჯერ კიდევ არის რეგიონები, სადაც ამ ტიპის სიმღერა ჯერ კიდევ სრულდება. შემსრულებლებმა ზუსტად იციან, თუ როგორ უნდა უღერდეს „ხმა“, უნდა წამოიძახონ თუ არა, მათ იციან რომ სულ მცირედი ცდომილებაც კი სარისკოა. რაც შეეხება მელოდიას, წესები მკაცრი და ფუნქციონალურია, განსაკუთრებით მოხუცი შემსრულებლების შემთხვევაში.

ძალიან მნიშვნელოვანია შემსრულებლების სოციალური ფუნქცია და მათი ადგილი თემში, მათი ეთნიკური კუთვნილება და რეგიონული წარმომავლობა. „ხმის“ შესწავლას ადრეულ ასაკში იწყებენ. იცოდენ „ხმა“ ნიშნავს, იცოდენ ტრადიცია, იცოდენ მაგია.

### ველიკა სტოიკოვა-სერაფიმოვსკა

*ფილოსოფიის დოქტორი*

*ეთნომუსიკოლოგიაში*

*(სკოპიეს წმ. კირილესა და მეთოდის*

*უნივერსიტეტი)*

## ქართველ ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლები

### „იარამაშად“

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „იარამაშად“ თბილისის მერიის მე-20 ხელოვნების სკოლაში (დირექტორი ა. ლაფერაშვილი) შეიქმნა 2010 წელს, ამავე სკოლის პედაგოგის, დალი დაბრუნდაშვილის ხელმძღვანელობით. სკოლა საორკესტრო პროფილისაა და ანსამბლის წევრები სიმებიან, სასულე და დასარტყამ ინტრუმენტებზე დაკვრას ეუფლებიან. ანსამბლი 18 მოსწავლისგან შედგება და მისი წევრები, სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველწლიურად იცვლებიან.



ანსამბლის რეპერტუარში სჭარბობს ქართული და აჭარულ-გურული სიმღერები.

„იარამაშად“ უკვე მესამე წელია აქტიურად მონაწილეობს ფოლკლორულ კონცერტებსა და ფესტივალებში. 2010 წლის მარტ-აპრილში ანსამბლი წარმატებით გამოვიდა აღ. მაჭავარიანის სახელობის ფესტივალზე „ქართული ფრესკები“ და ა. ვირსალაძის სახელობის ფესტივალზე „სიყვარულს უშენებია“, სადაც გურული სიმღერები შეასრულა. „იარამაშად“ ფოლკლორის ცენტრის მიერ მიწვეული იყო ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების ფესტივალზე „მთაწმინდის ჰანგები“ (2011) და „თბილისობა 2011-2012“. დაუვიწყარი და საპატიო იყო სტუმრობა ტრადიციული მრავალხმიანობის მე-5 საერთაშორისო სიმპოზიუმზე, 2010 წელს, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. „იარამაშად“ ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა ფოლკლორის IX-X საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატი და, ასევე, სიღნაღის „ფოლკლორულ დღეების“ ხშირი სტუმარია.



ანსამბლი ყოველწლიურად მონაწილეობს თბილისის მერიის ხელოვნების სკოლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსში, სადაც 2011 წელს II, ხოლო 2012 წელს I ადგილი მოიპოვა ბავშვთა ფოლკლორულ ანსამბლებს შორის.

2012 წლის 30 ივნისს, „იარამაშად“ სრული რეპერტუარით წარდგა მსმენელის წინაშე თეატრალიზებულ ფოლკლორულ საღამოზე „...აპირებს გათენებასა“, რომელიც თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა თეატრში გაიმართა.

### „ფერხისა“

ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი „ფერხისა“ შეიქმნა 2008 წელს, ნათია დათუაშვილის ხელმძღვანელობით. ანსამბლის ძირითადი შემადგენლობა, რა სახითაც იგი დღეს არსებობს, ჩამოყალიბდა 2010 წელს. აღნიშნული შემადგენლობით ანსამბლის პირველი გამოსვლა განხორციელდა ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის მეხუთე საერთაშორისო სიმპოზიუმის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში. დღესდღეობით, ანსამბლის ძირითად შემადგენლობასთან თანაარსებობს შედარებით უმცროსი თაობის აღსაზრდელთა ჯგუფიც.



ანსამბლის რეპერტუარში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტრადიციული ფოლკლორის ნიმუშები და საეკლესიო საგალობლებია. შესწავლის ძირითადი წყარო საარქივო ჩანაწერები და საპატრიარქოსთან არსებული გალობის ცენტრის მიერ გამოცემული სამგალობლო კრებულებია. დარსების დღიდან ანსამბლი „ფერხისა“ სხვადასხვა კონცერტებისა თუ ღონისძიებების, საქველმოქმედო საღამოების აქტიური მონაწილეა და თავადაც მართავს ამგვარი ტიპის საღამოებს, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. 2012 წლის 17 ივნისს ანსამბლმა გამართა საღამო ბედიანის მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლის მხარდასაჭერად; მისივე ორგანიზებით გასულ წელს, ქალაქ თელავში გამართა ტრადიციული სიმღერა-გალობის საღამო, რომელშიც სხვადასხვა ადგილობრივი თუ მოწვეული ანსამბლი დებულობდა მონაწილეობას.



ანსამბლ „ფერხისა“-ს რეპერტუარი ყოველწლიურად ფართოვდება. სიმღერა-გალობასთან ერთად ბავშვები ეუფლებიან ქართულ ხალხურ საკრავებსაც. ამჟამად ანსამბლი აქტიურად მუშაობს წირვა-ლოცვის საგალობლების შესწავლაზე. მისი მიზანია საკონცერტო გამოსვლებთან ერთად, მონაწილეობდეს ღვთისმსახურებაშიც.

## უცხოური ფოლკლორული ანსამბლი

### ტრილიუმი – a capella ჯგუფი აშშ-დან

ტრილიუმი 2006 წელს შეიქმნა როგორც ინგლისური და ამერიკული ხალხური სიმღერების შემსრულებელი ჯგუფი. ჯგუფის წევრები არიან: ჯენის ბოუთონი, მექ ქანთრელი, ჯოზეფ ერჰარდ-ჰადსონი და ჯენ მორისი. სამხმიანი მუსიკა პირველად ჩრდილოეთ ამერიკული და ბრიტანული ჯგუფების შესრულებით მოისმინეს. რეპერტუარი გაამდიდრეს ამერიკის სამხრეთისა და ჩრდილო-დასავლეთის რელიგიური სიმღერებით, რომლებიც შეიფ ნოთის ტრადიციის ნაწილს წარმოადგენს.



ანსამბლი „ტრილიუმი“

შეიფ ნოთის მუსიკას 200 წლიანი ტრადიცია აქვს. მისი ნოტებზე გადატანისას გამის აღსანიშნავად წრისა და ხაზების ნაცვლად გეომეტრიულ ფიგურებსა და ხაზებს იყენებენ. თავდაპირველად ეს მუსიკა სამი ხმისთვის დაიწერა, თუმცა შემდგომში ბევრ სიმღერაში მეოთხე ხმაც დაემატა.

რაც შეეხება ქართულ სიმღერას, პირველად ქართული მრავალხმიანი სიმღერა „ტრილიუმის“ წევრებმა ფრანკ ქეინისა და ფატი კაილერის დახმარებით შეისწავლეს, მოიხიბლნენ დისონანსური ჰარმონიებით, უცხო მელოდიებითა და აკორდული სტრუქტურებით. ქართული სიმღერების შესრულებით გამოწვეულმა ძლიერმა ემოციებმა სხვა ელფერი შესძინა უცხოური მუსიკის შესრულების მათ სტილს.

ეს შეგრძნებები იმდენად უნიკალური იყო, რომ ჯენ მორისმა სიეტლში ქართული გუნდი ჩამოაყალიბა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქართულად არ საუბრობდა და არც საქართველოში იყო ნამყოფი, მან შეისწავლა ქართული სიმღერების ყველა ხმა და ნელ-ნელა ამას თავის გუნდსაც ასწავლიდა.

ვინაიდან სიეტლში არ იყო ქართული მუსიკის პედაგოგი, ჯენმა იპოვა ქართველი ქალბატონი, რომლისგანაც ქართული ენის სწავლა დაიწყო, იგი საათობით მეცადინეობდა და რჩევებს ფრანკ ქეინისა და კარლ ლინიქისგან ელექტრონული ფოსტით იღებდა. რთულია ჯგუფის შექმნა და ხელმძღვანელობა ასეთ პირობებში, მაგრამ ჯენის შტაგონება ძალიან ძლიერი იყო, მით უმეტეს, რომ ეს მუსიკა არაჩვეულებრივად ეხამებოდა მის დაბალ ხმას და ხოლო რაღაც იდუმალი – მის სულს. ორწლიანი სწავლის შემდეგ, ჯენმა 2010 და 2011 წლებში საქართველოში იმოგზაურა კარლ ლინიქთან და მის სასიმღერო ბანაკთან ერთად. ნელ-ნელა აგროვებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სიმღერებს დამოუკიდებლად და სხვადასხვა პედაგოგებისა თუ მეგზურების დახმარებით. მისი 11 კაციანი ჯგუფი „უანფორფაივ“ შერეული-ქალთა და მამაკაცთა გუნდია.



ანსამბლი „ტრილიუმი (მარცხნიდან სამი) სიმპოზიუმის მონაწილეებთან ერთად

„ჩვენთვის დიდი პატივია მეგობრობა ქართველ კოლეგებთან, განსაკუთრებით ვამაყობთ, რომ საშუალება მოგვეცა შევხვედროდით და გვემღერა სვანეთიდან, კახეთიდან და გურიიდან ჩამოსულ შემსრულებლებთან ერთად“ – ამბობენ ჯგუფის წევრები..

**ჯენ მორისი**

ანსამბლ „ტრილიუმის“ ხელმძღვანელი



ჯგუფი „უანფორფაივ“

ისინი ხშირად მღერიან წიგნების მაღაზიებში, კოლეჯებში და მუსიკალურ ფესტივალებზე. ჯგუფს დიდ დახმარებას უწევს სიეტლის ქართული სათვისტომო. ჯგუფის სახელი შეირჩა ბევრი ქართული სიმღერის სტრუქტურის მიხედვით: 1-4-5 აკორდი. „უანფორფაივ“ გეგმავს საქართველოში ჩამოსვლას, მათ სურვილი აქვთ, რომ მონაწილეობა მიიღონ ტრადიციული მრავალხმიანობის მე-7 საერთაშორისო სიმპოზიუმში.

„ტრილიუმი“ ხშირად გამოდის ამერიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის საკონცერტო დარბაზებში, მან მონაწილეობა მიიღო თბილისის მრავალხმიანობის VI საერთაშორისო სიმპოზიუმშიც.

### ინგილოელი მოქმედები

ქართულ ხალხურ მუსიკას არაერთი მოამბე ჰყოლია, მათ შორის ზოგი ცნობილია, ზოგი – არა. მართალია, პერეთში საკონცერტო სცენაზე არასდროს შესრულებულა იქაური ხალხური მუსიკა, მაგრამ იყვნენ ადამიანები, ვისაც ამ მუსიკის ბედი ყოველთვის აწუხებდა. გასული საუკუნეების მეცნიერებიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ ისტორიკოსი და ეთნოგრაფი მოსე ჯანაშვილი, ხოლო თანამედროვეებიდან – ფილოლოგი მართა ტარტარაშვილი. მნიშვნელოვანი წვლილი ინგილოური ფოლკლორის შენახვაში აქაურ სახალხო მოქმედებსაც მიუძღვით, რომელთაგან მიხეილ ყულოშვილი, ვერა ანდრიაშვილი და ვასილ შიოშვილი ახლახანს გარდაიცვალნენ. სწორედ მათ შესახებ მინდა მოვითხროთ.

#### მიხეილ ყულოშვილი (1927-2012)

პროფესიით ექიმი იყო, მართა ტარტარაშვილის დახმარებით ფოლკლორულმა საზოგადოებამ იგი 80-იან წლებში გაიცნო. მიხეილ ყულოშვილი რამდენიმე წიგნის ავტორი და რედაქტორი იყო. სხვადასხვა დროს ჟურნალ-გაზეთებშიც აქვეყნებდა წერილებს.



მიხეილ ყულოშვილი

მე იგი გასული წლის მაისში გავიცანი, როდესაც ახალი დაინტერესებული ვიყავი საინგილოს მუსიკალური ფოლკლორით. მან გამაცნო ქალბატონი მართა ტარტარაშვილიც, რომელიც დღემდე დიდ დახმარებას მიწევს ჰერულ ფოლკლორზე მუშაობაში.

ბატონი მიხეილისა და ქალბატონი მართას დამსახურებაა 1987 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ საინგილოში ექსპედიციის მოწყობა. ამ ექსპედიციაში მუსიკისმცოდნე იოსებ ჟორდანიამ დააფიქსირა მიხეილ ყულოშვილის კოლორიტული სასიმღერო ხმაც.

მართალია, ჩემთან შეხვედრისას, ასაკის გამო, მისი ხმის ხარისხი საგრძნობლად შეცვლილი იყო, მაგრამ ძველებური ჰერული პეწი მაინც ჰქონდა შერჩენილი. ჰერელები მიხეილ ყულოშვილს ახასიათებენ, როგორც მხიარულ და ლალ ადამიანს. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟიშვილი 2008 წლის აგვისტოს ომში დაეღუპა, იგი ცხოვრებაზე ხელჩაქნეული არ იყო.

103 წლის ასაკში გარდაიცვალა ვერა ანდრიაშვილი (1909-2012). მისი არსებობის შესახებ მე და მართა ტარტარაშვილმა გასული წლის დეკემბერში, დედოფლის-წყაროს რაიონის სოფელ სამთაწყაროში ექსპედიციისას შევიტყვეთ, თუმცა გაგვაფრთხილეს, რომ მგლოვიარედ იყო (შვილიშვილი ჰყავდა დაღუპული) და არ იმღერებდა.



ვერა ანდრიაშვილი და გიორგი კრავეიშვილი

მახსოვს, როცა პირველად დავინახე, სახტად დავრჩი, ისე ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. თავიდან სიმღერაზე არ გუთანხმდებოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მართამ ახლობლებზე ჩამოუგდო სიტყვა, ყინული გალღვა და რამდენიმე ნიმუში იმღერა. შეასრულა, მაგრამ როგორ! არც მისი გარეგნობა და არც შესრულება 102 წლის ქალისას ნამდვილად არ ჰგავდა. ქალბატონ ვერას რომ ხელშეწყობა ჰქონოდა, სცენაზე ხალხური ჰანგების კარგი მოქმედი იქნებოდა...

ვასილ შიოშვილი (1925-2012) სოფელი კახიდან გახლდათ, უკრავდა გარმონსა და ჩუნგურზე (ნუ ავურევთ ქართულ ჩონგურსა და ფანდურში) და ამ საკრავების ირგვლივ ბევრი რამ ჩაგვაწერინა.

## პიტერ გოლდი - ამერიკელი ეთნომუსიკოლოგი საქართველოში



ვასილ შიოშვილი

ამ მასალის უნიკალობა იმაში მდგომარეობს, რომ თუ კი გარმონზე ძველებური რეპერტუარის დამკვრელები აქა-იქ ჯერ კიდევ ცოცხლები არიან, ჩუნგურზე შემსრულებლები უკვე აღარ გვყავს. ვასილ შიოშვილი იყო ერთადერთი ცოცხალი მეჩუნგურე, რომლისგანაც ძვირფასი მასალა ჩავიწერეთ მე და ქალბატონმა მართა ტარტარაშვილმა.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ვუსურვოთ საინგილოში დღემდე მცხოვრებ სახალხო მოქმედებს.

**გიორგი კრავიშვილი**  
*ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის (ეთნომუსიკოლოგია) მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი*



თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მოწვევითა და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით, საქართველოში ჩამოვიდა ამერიკელი ეთნომუსიკოლოგი, ანროპოლოგი, არქეოლოგი პიტერ გოლდი, რომელიც 44 წლის წინ სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას.

პიტერ გოლდის ბიოგრაფია ძალიან საინტერესო და უჩვეულოდ დატვირთულია. მას შესწავლილი აქვს ტიბეტელების, ინდოელების, ალიასკელი ესკიმოსების, სამხრეთ-დასავლეთ ამერიკისა და მექსიკის აბორიგენი მოსახლეობის, აშშ-სა და კარიბის კუნძულებზე მცხოვრები აფრო-ამერიკელების, ბალის კუნძულების მკვიდრთა, კავკასიისა და თურქეთში მცხოვრები ქართველების და სხვათა ეთნოგრაფია, კულტურა, ფილოსოფია, ხელოვნება. ის არის ნიუ-მექსიკოს მუზეუმის ანთროპოლოგიის ლაბორატორიისა და სანტა-ფეს ინდური ხელოვნებისა და კულტურის მუზეუმის ასოცირებული მკვლევარი, სხვადასხვა დროს მუშაობდა ამერიკის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმში დოქტორ მარგარეტ მიდის კვლევით ასისტენტად, ასევე – კურატორად სხვადასხვა კულტურულ მუზეუმებში.

გარდა ამისა, პიტერ გოლდი „უძველესი გზების პროექტის“ დამაარსებელია. ეს არის საზოგადოებრივი განათლებისა და პიროვნული განვითარების პროგრამა, რომელიც დაფუძნდა 1982 წელს.

პიტერ გოლდი მრავალი წიგნისა და სტატიის ავტორია, მათ შორისაა ფართოდ აღიარებული ნაშრომი „ნავაჰოსა და ტიბეტის სასულიერო სიბრძნე: სულიერების წრე“ (1994). მასში მეცნიერი ასაბუთებს ამ, ერთი შეხედვით, განსხვავებული ხალხების საერთო ცოდნას კოსმოლოგიაში, გეოგრაფიაში, ფსიქოლოგიაში, ვიზუალურ ხელოვნებასა და სამკურნალო რიტუალებში. საინტერესოა დიდი ბუდისტი ბერის, დალაი ლამას შეფასება: „პიტერ გოლდი აღწერს და ადარებს ნავაჰოსა და ტიბეტის ბუდისტურ პრაქტიკას, ხაზს უსვამს ჰუმანისტურ



პრინციპებს, რომელზეც ისინია დაფუძნებული და ასახავს ადამიანის გულის სიკეთეს“ (<http://www.ancientwaysproject.org>).

გარდა ასეთი წარმატებული სამეცნიერო მოღვაწეობისა, პიტერ გოლდი მეტად აქტიური, ახალგაზრდული სულისა და ინოვაციური მიდგომების მქონე პიროვნებაა. თავად წერს და გიტარის თანხლებით ასრულებს სიმღერებს, რომლებიც სხვადასხვა მუსიკალური სტილებიდანაა ამოზრდილი – დაწყებული აბორიგენი ამერიკელების, ტიბეტელებისა და ევროპელების სიმღერებიდან, ბახის, ბეთჰოვენის, რაველისა და სატიეს მუსიკით დამთავრებული, რომლებიც შერწყმულია პოეზიის კლასიკურ ნიმუშებთან. ამ გზით, მეცნიერმა ერთგვარი ვოკალური ფუჟენ-მუსიკა შექმნა.

საინტერესოა პიტერ გოლდის მონაწილეობა ამერიკულ დოკუმენტურ ტელეგადაცემაში „ადგილობრივი ტრადიციების სასულიერო სიბრძნე“, სადაც ამერიკის ეროვნული ძეგლის, არიზონას უდაბნოში მდებარე შელის კანიონის შესახებ საუბრობს.

ასეთი რანგის მეცნიერის სტუმრობა ჩვენი ქვეყნისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი მოვლენაა. როგორც პირად საუბარში აღნიშნა, ქართული მუსიკით ჯერ კიდევ 1963 წელს, 17 წლის ასაკში დაინტერესებულა, როცა სცენიდან პირველად მოუსმენია სიმღერა „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“.

მისი პირველი ვიზიტი საქართველოში 1968 წლის ზაფხულში შედგა, როდესაც პროფესორ გრიგოლ ჩხიკვაძესთან იმყოფებოდა სტუმრად. სწორედ გრიგოლ ჩხიკვაძის რჩევით ჩაუტარებია მეცნიერს ექსპედიცია თურქეთში. მან იმოგზაურა როგორც ისტორიულ საქართველოში (რიზე, ართვინი), ისე მუჰაჯირ ქართველებთან (ინეგოლის რაიონის სოფელი ჰაირიე) და სტამბულში, სადაც ჩაიწერა ძირითადად ლაზური და აჭარული ხალხური მუსიკა: ლაზური საჭიბონე დასაკრავები, აჭარული სოლო და ორხმიანი სიმღერები, დასაკრავები აკორდეონზე. მის მიერ ჩაწერილი მასალიდან ყველაზე კარგად ეროვნული მუსიკის კანონზომიერებები აჭარულ სიმღერებს შემოუნახავს (დასაკრავთა დიდი ნაწილი ევროპული ყაიდისაა).

მიუხედავად იმისა, რომ პიტერ გოლდის საექსპედიციო მარშრუტი არ იყო ვრცელი (იგი ბევრ ეთნოგრაფიულ ერთეულში ვერ მოხვდა), მის მიერ ჩაწერილი მასალა ფასდაუდებელია: მას შემდეგ, 90-იან წლებამდე თურქეთის ქართველების სხვა ჩანაწერები არ მოგვეპოვება.

პიტერ გოლდის მიერ ჩაწერილი მასალა გამოიცა კომპაქტდისკის სახით: „ქართული ხალხური მუსიკა თურქეთიდან (1968)“. როგორც თავად აღნიშნავს, მას შემდეგ საქართველოში დაბრუნების დიდი სურვილი ჰქონდა: „ჩემი მიზანი იყო, დამებრუნებინა ეს მასალა თავისი წარმოშობის ადგილთან და ესაა ჩემი დღევანდელი განზრახვა“. გარდა ამისა, მე დღემდე ვაგრძელებ ქართული ხალხური მუსიკის მღერასა და დაკვრას“ (პირადი წერილი).

საქართველოში პიტერ გოლდმა მონაწილეობა მიიღო ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრის მიერ ორგანიზებულ VI საერთაშორისო სიმპოზიუმში, მოინახულა თბილისის შემოგარენში მდებარე ისტორიული ადგილები, დმანისის გათხრები, ყაზბეგი, სიღნაღი, აჭარის მაღალმთიანი სოფელი მერისი და ავსტრალიაში მცხოვრებ ცნობილ ქართველ ეთნომუსკოლოგთან, იოსებ ჟორდანიასა და უცხოელ მუსიკოსთა დიდ ჯგუფთან ერთად სვანეთშიც იმოგზაურა.

6 და 8 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პიტერ გოლდმა ჩაატარა ლექციები ტიბეტურ და ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის მუსიკალურ კულტურაზე.

იმედი ვიქონიოთ, რომ პიტერ გოლდი კვლავაც გააგრძელებს ქართველ ეთნომუსიკოლოგებთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას.

### **თენა ლომსაძე**

*თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულების მაგისტრატურის I კურსის სტუდენტი*

### **გიორგი კრავიშვილი**

*ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მუსიკის ფაკულტეტის (ეთნომუსიკოლოგია) მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი*

## ქართული ხალხური შემოქმედების სტუდია „ერულას“ სასწავლო პროგრამის პრეზენტაცია

2012 წლის 8 ივლისი ქართული ქორეოგრაფიისა და ზოგადად, ტრადიციული ხელოვნების თაყვანისმცემელთა და გულშემატკივართათვის მნიშვნელოვან დღედ იქცა. ამის მიზეზი ქართული ხალხური შემოქმედების სტუდიის – „ერულას“ სასწავლო პროგრამის წარდგენა იყო საზოგადოებისათვის.

დღევანდელ საქართველოში მრავლადაა ქართული ხალხური შემოქმედების სტუდიები თუ სასწავლებლები. მაგალითად, თბილისში არსებობს არაერთი საბავშვო სტუდია, სადაც ისწავლება ხალხური შემოქმედების დარგები პრიორიტეტული შერჩევით: მუსიკალური თვალსაზრისით – სტუდია „ამერ-იმერი“, ზეპირსიტყვიერების პრიორიტეტით – სტუდია „მზე შინა“, ძალიან სასიხარულოა, რომ ქორეოგრაფიის პრიორიტეტით სტუდია „ერულა“ შეემატა ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროს.

ქართული ცეკვის პრობლემებსა და მის სათანხლებო მუსიკას დიდი ხანია კრიტიკულად განიხილავენ ქართველი ქორეოლოგები და ეთნომუსიკოლოგები. ხშირად გაისმის უკმაყოფილების გამოხატველი შენიშვნები როგორც ქართული ტრადიციული ცეკვების, ასევე საცეკვაო მუსიკის მიმართ და არც თუ უსაფუძვლოდ. სამწუხაროდ, ამ კამათში მთავარი სათქმელი არავის უთქვამს. მთავარი კი ის არის, რომ საქართველო ვოკალური მრავალხმიანობის ქვეყანაა. ცეკვა ტრადიციული ხელოვნების განუყოფელი ნაწილია, ისევე, როგორც საკრავიერი მუსიკა, თუმცა, საკრავი საქართველოში ყოველთვის სათანხლებო, შემბანებელი იარაღი იყო სიმღერისა და ცეკვისათვის.



ეთნომუსიკოლოგიაში დადგენილია, რომ საკრავისადმი მიჯაჭვა და ისეთი სახით გამოყენება, როგორც დღეს ხდება, ცვლის ადამიანთა მენტალიტეტს და შეუსაბამოა ეროვნული იდენტობისათვის. ძველ საქართველოში ცეკვა სიმღერის განუყოფელი ნაწილი იყო, სხვათა შორის, დღესაც ასეა ხალხში და ამ მოვლენას მეცნიერები სინკრეტიზმს უწოდებენ. სამწუხაროდ, კუმანიტარული დარგის მკვლევართა დიდი ნაწილი არ ითვალისწინებს ეთნომუსიკოლოგიურ გამოკვლევებს.

ეს მცირე განმარტება იმის დასასაბუთებლად დამჭირდა, რომ საერთო მდგომარეობის ფონზე განსაკუთრებით დასაფასებელია სტუდია „ერულას“ ხელმძღვანელობისა (დირექტორი ეკა გესლაიძე) და პედაგოგთა ძალისხმევა, რომელთაც ღრმად გააზრებულად და თანამედროვე პრობლემების გათვალისწინებით, მაღალი პროფესიული და სწორი გზა აირჩიეს მომავალი თაობის განვითარებისათვის.



სამაგალითოა სტუდიის პედაგოგთა დამოკიდებულება ცეკვის შესწავლის პირველი ნაბიჯებისასდმი. ძალიან ნათლად ჩანს პედაგოგების – გიორგი ალიმბარაშვილის, ირაკლი საათაშვილის, ლუბა ნაჭყებიას, მანანა შავშიშვილის (კონცერტმაისტერი), ვიქტორია სამსონაძის (ფოლკლორის პედაგოგის) დაუღალავი შრომის ნაყოფი.

პროგრამაში საგანგებოდ აღსანიშნავია სწავლების ასაკობრივი ევოლუციის პროცესი. განსაკუთრებით მომხიბვლელია პედაგოგთა ჯანსაღი მიდგომა მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობების მიმართ. აქ ვერ ნახავდით ე.წ. საცირკო ანდა იაფფასიან ჯამბაზურ ტრიუკებს... ეს იყო ქართული ცეკვები, გაჯერებული ქართული ხელოვნების მთავარი მახასიათებლით – სისადავით.

ალბათ, მომავლისათვის სასურველიც და ძალიან საჭირო იქნება, ეს მეთოდები ნაშრომად ჩამოყალიბდეს და გავრცელდეს.

კიდევ უფრო საყურადღებო და თანამედროვე ქორეოგრაფიაში გასათვალისწინებელია პედაგოგთა მრწამსი, რომ ცეკვა ადამიანის განსაკუთრებული სულიერი განწყობის გამოხატულებაა, ამიტომაც ამ ზეიმში ყველა მოცეკვავე მონაწილეობს. პროგრამა მხოლოდ „სოლისტებისა“ და „კორდებალეტისათვის“ კი არა, არამედ ყველასათვისაა. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, ცეკვისას მაყურებლისათვის საუკეთესო შემსრულებელი შეუმჩნეველი რჩება.

სტუდია „ერულას“ (ერულა თუშურად „ფერხულში ჩაბმას“ ნიშნავს) პროგრამის უდიდესი წარმატება და განსაკუთრებულობა სასწავლო პროგრამაში ხალხური სიმღერისა და ზეპირსიტყვიერების უძველესი ტრადიციული შემსრულებლობის მეთოდებისა და ნიმუშების მაღალპროფესიულად გამოყენებაა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პირველი შემთხვევაა, როცა ქორეოგრაფიულ სასწავლო პროგრამაში საცეკვაოსთან ერთად ასე სრულყოფილადაა ჩართული ქართული ხალხური საფერხულო-სასიმღერო და ზეპირსიტყვიერების ნიმუშები.

აღბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ დღესდღეობით, სრულიად საქართველოში, ცეკვის თანხლებად საზოგადოებას მხოლოდ დოღ-გარმონი წარმოუდგენია. ამიტომაც განსაკუთრებული მადლი და ქართული სული შემატა მესხური ფერხულის, ქართლ-კახური მკის სიმღერის, ლაზური „ნარდანიას“ ჩართვამ.

მელიც თანდათან ცეკვაში გადადის. ეს არ გახლავთ მხოლოდ ჩემი შთაბეჭდილება. ყველაზე უტყუარი დარბაზის რეაქცია იყო, რაც იმის ნიშანია, რომ ქართველებს ჯერ კიდევ შერჩენიათ მოთხოვნილება, პატივი მიაგონ თავიანთ წარსულს. მკის სიმღერა იყო ხიდი უძველესსა და ახალს შორის.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ სტუდიაში ბავშვებს ასწავლიან ცეკვისადმი სწორ დამოკიდებულება, სწორ ჭრილში აჩვენებენ ქართულ ხელოვნებას და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ასწავლიან საქმის სიყვარულით კეთებას! მათ დაანგრის საბჭოური კლიშეები, უცხოურით გატაცების საშიში ზღუდეები.

ჩემი აზრით, სტუდია „ერულას“ პრეზენტაციის დღე ქართული ფოკლორის ისტორიაში უნდა შევიდეს, როგორც ქართული საბავშვო ქორეოგრაფიის ეროვნული პროგრამის დაბადების დღე.

ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრის სახელით ვულოცავთ სტუდია „ერულას“ გახსნას და ვუსურვებთ კიდევ უფრო გაძლიერებას, გამრავლებასა და წარმატებებს.

### ქეთევან ბაიაშვილი

*ეთნომუსიკოლოგი, ტმსც-ს სპეციალისტი*



სტუდიის ფოკლორის პედაგოგი ეთნომუსიკოლოგი ვიქტორია სამსონაძეა, ეს არის ნიჭიერი, ენერგიული ადამიანი, რომელიც საქმისადმი უდიდესი სიყვარულითა და საფუძვლიანი ცოდნით გამოირჩევა.

პრეზენტაციის ნამდვილი კულმინაცია იყო ბავშვების მიერ შესრულებული მკის სიმღერა, შესაბამისი მოძრაობებით, რო-

## ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები

### ანსამბლი „მადრიქალი“ საფრანგეთიდან



გთავაზობთ ინტერვიუს ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელ ფრანგ ქალთა ფოკლორულ ანსამბლ „მადრიქალის“ ხელმძღვანელთან – სოფი ბილონგთან.

#### – როდის დაარსდა თქვენი ჯგუფი?

– პარიზში 2002 წელს უკვე არსებობდა ორი ქართული ანსამბლი: მარანი და ირინოლა, როდესაც საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა გოგონამ, თამარ რუხაძემ დააარსა ანსამბლი *მადრიქალი*. მე ანსამბლს 2003 წლიდან ვხელმძღვანელობ. ჩვენი ჯგუფი, ანსამბლ *მარანთან* ერთად (დაარსებული 1990-იან წლებში) მიეკუთვნება ასოციაციას „კიდევ მარანი“.

#### – წარმოგვიდგინეთ მადრიქალის წევრები.

– ანსამბლი შედგება ათი მომღერლისაგან, მათი ასაკია 30 დან 60 წლამდე, ზოგი ნორჩი დედაა, ზოგიც ახალგაზრდა ბებია. ჩვენ პროფესიონალი მომღერლები არ ვართ, ყველა სხვადასხვა პროფესიის გახლავართ, გვყავს: ინჟინერი, ეკონომისტი, თარჯიმანი, სახელმწიფო მოხელე. ყველანი მოყვარულები ვართ, ქართული სიმღერის სიყვარულმა შეგვკრიბა, რაც, უმეტეს წილად, ჩვენი ოჯახური ტრადიციიდან მოგვყვება. ჩვენთან ერთად მღეროდნენ პარიზში სასწავლებლად ჩამოსული ქართველი ახალგაზრდებიც – ნინო და მარიამ კვესელაძეები, რომლებიც ახლა სამშობლოს დაუბრუნდნენ. მათი პარიზში ჩამოსვლა თუ ჩვენი საქართველოში სტუმრობა და მათთან შეხვედრა ულევ სიხარულს გვანიჭებს ყველას.

#### – სახელი „მადრიქალი“ როგორ მოიფიქრეთ?

– ეს ახალი სიტყვა ერთ-ერთმა ჩვენმა წევრმა გამოიგონა, ეს არის ფრანგული სიტყვა „Madri“-სა (ქართულად „სამშაბათი“ – ჩვენი რეპეტიციის დღე) და ქართული სიტყვა „ქალი“-ს შერწყმა. ისეთი სახელი ამოვარჩიეთ, რომელიც მხოლოდ ჩვენს ჯგუფს დაუკავშირდებოდა და თანაც ქართულად და ფრანგულად ადვილი წარმოსათქმელი იქნებოდა. ამავე დროს, „მადრიქალი“ ხომ პოლიფონიური სიმღერის ძველ ფორმას ნიშნავს, რომელიც რენესანსისა და ბაროკოს ეპოქის დასაწყისში განვითარდა.

#### – როგორ ხდება სიმღერების შერჩევა და ახალი რეპერტუარის შექმნა?

– ჩვენი რეპერტუარი უმთავრესად ქალთა ტრადიციული სიმღერებისგან შედგება, თუმცა სხვა ალტერნატივაზეც არ ვამბობთ უარს. ხმათა გადანაწილება იმის მიხედვით ხდება, თუ ვის უფრო უადვილდება წამყვანი ხმის შესრულება შესაბამის სიმღერაში.

ქართული ხალხურის ტრადიციის შესაბამისად, სიმღერებს ნოტების გარეშე, სმენით ვსწავლობთ. ლათინური ასოებით (ლათინური უკეთ გვეხერხება, ვიდრე ქართული!) ზოგი ჩვენგანი ქართულად საკმაოდ კარგად საუბრობს, ზოგს ცოტა ესმის, ზოგმა კი საერთოდ არ იცის...

საფრანგეთში ქართული ჯგუფების ტურნეები ყოველთვის ძალიან გვახარებს. წელიწადში ერთხელ ვიწვევთ ხოლმე და კონცერტებს ვაწყობთ, აგრეთვე ვატარებთ მათთან ერთად მასტერ კლასებს, რათა საფრანგეთში მყოფმა ქართული სიმღერის მოყვარულებმა ისწავლონ ახალი სიმღერები და გაიუმჯობესონ შესრულების მანერა. ვცდილობთ, არ გამოვტოვოთ მასტერ-კლასები და, ამგვარად, რეპერტუარი გავიმდიდროთ. წლების განმავლობაში ჩვენ დიდი სიხარულით ვუმასპინძლეთ ბევრ ქართულ ჯგუფსა და მომღერალს, მათ შორის: მალ-

ხაზ ერქვანიძეს, ნატო ზუმბაძეს, ლევან აბაშიძეს, ტრისტან და გური სიხარულიძეებს, ბესიკ ჭითანავას, ვაჟა გოგოლაძეს, ანსამბლებს: „მხეთამხეს“, „ბასიანს“, „შავნაბადას“, „ჯვარულს“ და ა. შ.



გარდა ამისა, 2010 წლის მაისში ვიმოგზაურეთ საქართველოში, სადაც ბევრ მომღერალს, ჯგუფს და ლობჯინას შევხვდით კახეთში, ხევსა და თბილისში. საშუალება მოგვეცა, უფრო მეტი სიმღერა გვესწავლა და სხვადასხვა სიტუაციაში გვემღერა: სუფრაზე, მინი ავტობუსებში, მეგობრებთან, ქუჩაში, კონცერტზე, ტაქსში. ყოველ ჯერზე ეს იყო შესანიშნავი მუსიკალური და ადამიანური შეხვედრები.

**- რატომ საქართველო და ქართული სიმღერა?**

- ყველა ჩვენგანს პირადი ისტორია აკავშირებს ამ ქვეყნის აღმოჩენასთან. ერთერთ წევრს საქართველო ბაბუად „ეკუთვნის“, ზოგი პროფესიული თუ ჰუმანიტარული მიზნისთვის იყო ნამყოფი, მაგრამ ამჯერად ჩვენ საქართველოში ვიმოგზაურობთ სამღერლად, საოცარი ქართული კულტურისა და ქვეყნის უკეთ გასაცნობად, ჩვენი „ფრანგი“ ქართველებისა და „ქართველი“ ქართველების მოსანახულებლად და, რაც მთავარია, იმისთვის რომ ქართული კულტურა სიმღერის მეშვეობით გავიზიაროთ.

ყველაფერი იმის საბაბია, რომ უფრო და უფრო განვამტკიცოთ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული დიდი ხნის ურთიერთობა. ამ მიზნით ხშირად ვმონაწილეობთ საფრანგეთის ქართული სათვისტომოს მიერ ორგანიზებულ დღესასწაულებში.... წმინდა ნინოს ეკლესიის წინამძღვრის არჩილ დავრიჩაშვილისა და

ქართული სათვისტომოს დახმარებით, დიდი პატივი გვაქვს, კვირაში ერთხელ რეპეტიცია სწორედ ეკლესიაში გავიაროთ.

**- ხშირად გაქვთ კონცერტები?**

- დიას, საკმაოდ ხშირად, უმეტესად კი მაინც ოჯახური თუ პროფესიული შესაძლებლობების ფარგლებში. შანსს არ ვტოვებთ კონცერტების მოსაწყობად და მონაწილეობის მისაღებადაც, როდესაც ქართულ ჯგუფებს ვმასპინძლობთ პარიზში ან კიდევ, როდესაც დიდი ღონისძიებები იმართება, როგორცაა, მაგალითად, რაგბის მსოფლიო ჩემპიონატი (2007) მარსელში საფრანგეთი - საქართველოს შეხვედრის დროს, აგრეთვე სენ დენის ტაძარში „მარანისა“ და გურიიდან ჩემოსული „შაღვა ჩემო“-ს კონცერტზე. ბევრ ფესტივალში მიგვიღია აგრეთვე მონაწილეობა და აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართული პოლიფონიის უჩვეულობის მიუხედავად, ფრანგული პუბლიკა აღფრთოვანებული გვეგებება ყოველი კონცერტის შემდეგ.

**- სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

- გეგმა ბევრი გვაქვს! უპირველეს ყოვლისა, დიდი სურვილი გვაქვს, რომ მეტი მომღერალი მივიღოთ ჩვენს გუნდში. საკმაოდ დიდი სტაბილურობა შევიძინეთ ბოლო წლების მანძილზე და მზად ვართ ახალი წევრების მისაღებად. შემდეგ კი, 2013 წლის მარტში ვუმასპინძლებთ ანსამბლ „რიჰოს“ სვანეთიდან და ამავე წლის შემოდგომაზე ანსამბლ „სახიობას“. ვეჭვობთ, რომ მათ ჩამოსვლას ბევრი სუფრა მოყვება. ეს ტრადიცია კარგად ავითვისეთ და ძალიან გვიყვარს.

ამჯერად ვემზადებით ჩვენი მეორე მოგზაურობისთვის საქართველოში, მონაწილეობას ვიღებთ ბათუმის სიმღერისა და გალობის ფესტივალში, შემდეგ ვეწვევით აჭარელ მომღერლებს, რა თქმა უნდა, ვიქნებით თბილისშიც და აუცილებლად წავალთ ყაზბეგშიც.

**- წარმატებებს გისურვებთ !**

*ინტერვიუ ჩაწერა ტმესც-ს სპეციალისტმა მაკა ხარძიანმა.*

## ქუთაისური მრავალჯამიერი



კახი როსებაშვილი ერთ-ერთი ექსპედიციის დროს

ქუთაისური მრავალჯამიერი ქართული ქალაქური საგუნდო სიმღერის ტიპური ნიმუშია. ქალაქური სიმღერა ქართული მუსიკალური ფოლკლორის ისტორიულად გვიანდელი და რამდენადმე რთული მოვლენაა. იგი გარკვეულ სოციალურ ვითარებაში წარმოიშვა.

ქართული ქალაქური სიმღერა, მუსიკისმცოდნეობაში გავრცელებული ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ორი ძირითადი – აღმოსავლური და დასავლური შტოსაგან შედგება. იგი დღეისათვის საერთო ქართული კულტურის სფეროში შემავალ საკვლევ დარგებს შორის საპატიო ადგილს იკავებს.

როდესაც ვამბობთ – აღმოსავლური შტო, ვგულისხმობთ სიმღერებს, რომლებიც აღმოსავლური მუსიკის გავლენას განიცდიან. დასავლური შტოს სიმღერები კი დასავლეთ ევროპის მუსიკის გავლენის ქვეშაა. უკანასკნელს მიეკუთვნება ქართული საგუნდო მრავალხმიანი ქალაქური სიმღერები. ასეთებია: „სულიკო“, „ციცინათელა“, მთელი რიგი მრავალჯამიერებისა და სხვა სუფრული სიმღერები. ამ სიმღერების სამშობლოდ სამართლიანად არის მიჩნეული დასავლეთ საქართველო, სახელდობრ, ქუთაისი. ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ქალაქებში საზოგადოების ფართო მასა უკვე ისმენდა და ეცნობოდა დასავლეთ ევროპულ მუსიკას. ამის შესახებ მრავალ საინტერესო ცნობას ვხვდებით იმდროინდელი პრესის ფურცლებზე. „...ქუთაისელი ბიჭუნები არღანის გაგონებაზე ქუჩაში გამოდიან და სულგანაბული უსმენენ პოპულარულ

არიებსა და საცეკვაო მელოდიებს, რომლებსაც იქვე სიმღერით ან სტვენით იმეორებენ“ – წერდა 1853 წელს ჟურნალი „კავკასიის კალენდარი“. აქედან ჩანს, რომ ევროპული მუსიკის გავრცელებაში დიდ როლს ასრულებდნენ ქალაქში მოხეტიალე მუსიკოსები, რომლებიც მექანიკური საკრავებით – არღნით, არისტონით თუ ჰეროფონით ეზო-ეზო დახეტიალობდნენ.

ამგვარად, ევროპული მუსიკა ძლიერ ზეგავლენას ახდენდა ხალხის მუსიკალურ გემოვნებაზე და ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა სტილისტურად ახალი ქართული ხალხური სიმღერის შექმნისათვის. თავდაპირველად იგი გამოიხატებოდა ევროპული პოპულარული მელოდიების უშუალო განმეორება-გადმოცემაში, რასაც ხალხი ქართულ ლექსს უხამებდა. დროთა განმავლობაში, ჰანგი ერთგვარ თავისებურებას და ადგილობრივ ელფერს იძენდა, ხოლო შემდეგ ევროპული მუსიკის გადასხვაფერებით და საკუთარი შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით, ხალხი ქმნიდა ახალ, საკუთარ სიმღერებს. თუმცა, გარკვეული ინტონაციური კავშირი ამათუიმ ევროპული სიმღერის ჰანგთან მაინც იგრძნობოდა, რაც, ძირითადად, მის ტონალურ და ჰარმონიულ სფეროში აღიქმებოდა.

ძნელია თქმა იმისა, თუ რომელი ელემენტი სჭარბობს და განსაზღვრავს ქართული საგუნდო ქალაქური სიმღერის სტილისტურ მხარეს – ზოგადევროპული თუ ეროვნული. ვფიქრობთ, აქ ორივე ერთ მთლიანობაშია მოცემული, თუმცა ეროვნულს აშკარა უპირატესობა ენიჭება.

ჩვენს მიერ ნოტებზე გადაღებული მრავალჯამიერი ფაქტურულად მეტად მარტივია. მისი მელოდია მშვიდი ხასიათისაა და რთული მელიზმატიკისაგან თავისუფალია. მას ასრულებს პირველი და მეორე ხმა სექსტურ ინტერვალში, იშვიათად ტერციაში, საკმაოდ მოქნილი ბანის ფონზე. საყურადღებოა, რომ იგი დო-მაჟორ ტონალობაში სრულდება და ამიტომ მას ხშირად C-dur მრავალჯამიერს უწოდებენ. მიუხედავად ამისა (და სწორედ ამაში გამოიხატება მისი ღირსება), იგი არჩვეულებრივად ქართული, ეროვნული იერისაა. სწორედ ამან განაპირობა, რომ ქუთაისურ მრავალჯამიერთა შორის ჩვენი არჩევანი საილუსტრაციოდ სწორედ C-dur მრავალჯამიერზე შეჩერდა.

გთავაზობთ ამ მრავალჟამიერს.

მრავალჟამიერი C dur

Andante ♩ = 63

მრ - ა - ვა - ლ - - - - - ფა - - - - - მი - - - - - ერ

მრ - ა - ვა - ლ - - - - - ფა - - - - - მი - - - - - ერ

მრ - ა - ვა - ლ - - - - - ფა - - - - - მი - - - - - ერ

მრ - ა - ვა - ლ - - - - - ფა - - - - - მი - - - - - ერ

ფა - - - - - მი - - - - - ერ

მრ - ა - ვა - ლ - - - - - ფა - - - - - მი - - - - - ერ

ფა - - - - - მი - - - - - ერ

მრ - ა - ვა - ლ - - - - - ფა - - - - - მი - - - - - ერ

მრ - ა - ვა - ლ - - - - - ფა - - - - - მი - - - - - ერ

1. მრ - ა - ვა - ლ - - - - - ფა - - - - - მი - - - - - ერ

2. ერ

კახი როსებაშვილი  
(ეურნალი „განთიადი“, 1976წ, №2)

## ერთი სიმღერის ისტორია

### „ხასანბეგურა“

„ხასანბეგურა“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი გურული სიმღერა და მაღალგანვითარებული ქართული პოლიფონიის შესანიშნავი ნიმუშია. ხმათა კონტრასტული ურთიერთდამოკიდებულებით, თავისუფალი იმპროვიზაციის ამოუწურავი შესაძლებლობებით, რაც მისი შემსრულებელი მომღერლებისაგან ვირტუოზულ ოსტატობას მოითხოვს, „ხასანბეგურა“ სამართლიანადაა მიჩნეული გურული პოლიფონიის მწვერვალად და ქართული მუსიკალური აზროვნების ნამდვილ შედეგად. სიმღერაში მონაწილეობენ სპეციფიკური მაღალი ხმები – *კრიძანჭული* და *წვრილი*; სრულდება ტრიოსა და გადაძახილის მიერ.<sup>1</sup> ტრიო შედგება *დამწყების* (იგივე II ხმა), *კრიძანჭულის* ან *წვრილისა* და *ბანისაგან*.

არსებობს „ხასანბეგურას“ მრავალი ვარიანტი. ამ სიმღერას თავისი კვალი ბევრმა ცნობილმა მომღერალმა დააჩნია. გურიაში დღემდე შემორჩენილი გიორგი ბაბილოძის, ალექსანდრე მახარაძის, ალმასხან ხუხუნაიშვილის, თეოფილე ლომთათიძის, მიხეილ შავიშვილისა და სხვათა ვარიანტები. გურული სიმღერის ამ დიდოსტატებმა „ხასანბეგურაში“ უმაღლეს საშემსრულებლო დონემდე აიყვანეს *კრიძანჭული* და *წვრილი*. ცნობილია, ასევე, ვარლამ სიმონიშვილის, ბესარიონ ხუხუნაიშვილის, ვლადიმერ ბერძენიშვილის, არტემ ერქომაიშვილისა და სხვათა *ბანის* ვარიანტები. შეიძლება ითქვას, რომ „ხასანბეგურას“ იმდენი ვარიანტი არსებობს, რამდენიც მისი ვირტუოზი შემსრულებელია.

საინტერესო ისტორია აქვს „ხასანბეგურას“ ტექსტს. მის ყველაზე გავრცელებულ ვარიანტში ასახულია ერთ-ერთი ეპიზოდი რუსეთ-თურქეთის ომიდან (1853-1856წ). მასში მოთხრობილია, თუ როგორ უღალატა გამაჰმადიანებულმა ქართველმა, თურქეთის ჯარის სარდალმა, ხასანბეგ თავდგირიძემ თავის თანამომემე გურულებს. მან, შესახედავად თვალტანადმა, წარმოსადგემა კაცმა, ახალგაზრდობაშივე მიიღო ქობულეთის გამგებლობა (ბეგობა), გურულებს რუსეთისაგან დახსნას დაჰპირდა და 1841 წელს ანტირუსული აჯანყებისათვის

<sup>1</sup>გადაძახილი ტრიოსაგან განსხვავებული, დამოუკიდებელი მუსიკალური ფრაზაა, რომელიც რეფრენად გასდევს მთელ სიმღერას. არსებობს 1, 2 და 3 ხმიანი გადაძახილი. „ხასანბეგურაში“ გადაძახილი 2 ხმიანია.

იარაღითა და ტყვია-წამლითაც მოამარაგა. ამბოხების დროს გურულები თურქეთის სასაზღვრო ზოლისაკენ გაემართნენ, სადაც თავიანთი „მხსნელი“ ხასანბეგი ეგულებოდათ, თუმცა, რუსებმა ფულით მოისყიდეს თავდგირიძე, რომელმაც მიატოვა მისი მომიჯნავე აჯანყებულები და რუსების პირისპირ დატოვა. ამბოხებულებს სასტიკად გაუსწორდნენ.

ამის გამო, რუსეთ-თურქეთის ომის დროს გურიაში შემოჭრილ ხასანბეგზე გურულებმა შური იძიეს – ბრძოლიდან გაქცეულს დაედევნენ და თავი მოჰკვეთეს. ერთ-ერთი გადმოცემით, ხასანის ძმას (თუ ბიძაშვილს), ბეგის თავმოჭრილი სხეული რომ დაუნახავს, ჯერ შეუცხადებია, მერე კი ქრისტიანულად დაუმარხავს.

სწორედ ამ ფაქტს ასახავს „ხასან-ბეგურას“ ტექსტი, რომლის ავტორად ვინმე ყარამან თავდგირიძეს მიიჩნევენ.

სპეციალისტების აზრით, სიტყვიერი ტექსტი გვიანდელია, ხოლო თვით სიმღერის ფესვები საუკუნების სიღრმეებშია საძიებელი. ცნობილი ფაქტია, რომ გურულები სიმღერებს ტექსტებს საკუთარი ნება-სურვილით უცვლიდნენ და თავისუფლად გადაჰქონდათ ერთი სიმღერის სიტყვები მეორეში. ამის დასტურად ის ფაქტიც გამოდგება, რომ 1907-1914 წლებში ჩაწერილ „ხასანბეგურებს“, რომლებსაც გიგო ერქო-მაიშვილისა და კოწია ხუხუნაიშვილის ანსამბლები ასრულებდნენ, ტექსტად გამოყენებული აქვთ „ვეფხისტყაოსნისა და „თამარიანის“ ფრაგმენტები. დღეს გაგრძელებული ტექსტით „ხასანბეგურა“ მხოლოდ 1930-იანი წლების ჩანაწერების შემდეგ გვხვდება, როცა იგი ვარლამ სიმონიშვილისა და ავქსენტი მეგრელიძის გუნდების შესრულებით ჩაიწერა.

ტექსტი ასეთია:

ხასანბეგი თავდგირიძე განრისხული  
ღვთისგან მეტი,  
თათრის ფაშობა იშოვა, სულ მთლად  
დაივიწყა ღმერთი,  
შეკვეთილში შემოვიდა, იბახოდა „ოლან-გეთი“  
(გადი-ბიჭო),  
გენერალმა უოსტატა, დაუტოვა ოზურგეთი.  
ლანჩხუთამდე მას ვაცადოთ, მერე ჩვენ  
გვიყუროს ერთი,  
ვეღურღულე დაფუძახოთ და აღარ გაუშვათ  
ერთი.  
გზას ვიყავით მილიცია, რუსის ჯარი კიდევ  
ცოტა,  
ცხრა ათასი თათრის ჯარი წინ შემოგვხვდა,  
გვებოროტა,  
პოლკოვნიკმა ერისთავმა წინ გაუშვა ერთი  
როტა (ასეული-რედ).  
გაიქცნენ და აირივნენ, მეომრები აიშალა,  
ვინც არ მოკლეს–დაიჭირეს, ყელს მოაბეს  
დიდი ფშალა (მცენარეების ბაწარი-რედ),  
ცხრაი ათასი კაციდან შვიდასმა ძლივს  
გაიმშრალა.  
ხასანბეგი თავდგირიძე თავმოჭრილი  
დავინახე,  
რადგან ჩემი ძმაი იყო, ვაი-მეთქი – დავიძახე.  
წინა ღამით მან გადამწვა, მით დაიგო  
ფეხქვეშ მახე,  
რადგან ჩემი ძმაი იყო, ბოლოს მაინც მე  
დავმარხე.

*მოამზადა მაკა ხარძიანმა ანზორ  
ერქომაიშვილის მიერ მოწოდებული მასალის  
საფუძველზე*



# ხასანბეგურა \*

## Khasanbegura

ასრულებდა საქართველოს რადიოკომიტეტის გუნდი  
 აქვსენტი მეგრელიძის ხელმძღვანელობით.  
 ტრიო: კრიმანჭული, გამყივანი - თეოფილე ლომთათიძე,  
 მთქმელი - დავით მდინარაძე, ბანი - ლევან მახარაძე.  
 ჩანერილია 1952 წელს ქ. თბილისში.

The choir of Georgian state Radio station.  
 Leader: Akvsenti Megrelidze.  
 Trio: I voice - Teopile Lomtadize,  
 II voice - David Mdinardze,  
 Bass - Levan Makharadze.  
 Recorded in Tbilisi 1952.

Moderato  $\text{♩} = 73$

trio

The musical score consists of three systems, each with three staves (Soprano, Alto, Bass) and piano accompaniment. The lyrics are written in Georgian and Latin transliteration below the vocal lines.

**System 1:**

Soprano: ო - დე - ლა - ჰო ჰო  
 o - de - la - ho ho

Alto: ჰა - ი ვო - ი ოა - დი - ლა დე - ლო  
 ha - i vo - i oi - di - la de - lo

Bass: ა - დი - ლა დე - ლა ა - რი - რო  
 a - di - la de - la a - ri - ro

**System 2:**

Soprano: ო - დე - ლა რი - რა ჰო ჰო დე - ლა ჰო  
 o - de - la ri - ra ho ho de - la ho

Alto: ი დი - ლა ა - დი - ლო დი - ლა - ვო დი - ლა ვო - მდი - ლა ვო - ვო - დე - ლო და  
 i di - la a - di - lo di - la - vo di - la vo - mdi - la vo - vo - de - lo da

Bass: ა ჰა ჰე ჰე ჰე ვო ჰე ა ვა ჰა  
 a ha he he he vo he a va ha

**System 3:**

Soprano: ო - დე - ლა რი - რა ჰო ჰო დე - ლა ჰო  
 o - de - la ri - ra ho ho de - la ho

Alto: ოა - დი - ლა ა - დი - ლო დი - ლა - ვო დი - ლა ვო - მდი - ლა ვო - ვო - დე - ლო და  
 oi - di - la a - di - lo di - la - vo di - la vo - mdi - la vo - vo - de - lo da

Bass: ა ჰე ა ა ჰა დე ჰე ჰე ვო ჰე ა ვა ა ჰა ჰე ა ო  
 a he a a ha de he he vo he a va a ha he a o

\* სიმღერა უღერს ნახევარი ტონით ქვევით.  
 The song sounds on half of tone lower.

ტი - რი რი - რა ჰო ჰო რი - რა ჰო ჰო დე - ლა ჰო - დე - ლა ჰო  
 ti - ri ri - ra ho ho ri - ra ho ho de - la ho - de - la ho  
 ო - რუ - დი - ლა ვო - რე - რა დე - ლა ა - დი - ლო დე - ლა და  
 o - ru - di - la vo - re - ra de - la a - di - lo de - la da  
 ა ჰა ჰე ჰე ჰე ვო ჰე ა ა ჰე ა ვო ა - დი - ლა  
 a ha he he he vo he a a he a vo a - di - la

ო  
 ho  
 და  
 da

და  
da  
choir

ა - ბა - დე - ლო დე - ლი ვო - დე - ლი ვო - დე - ლო და ნა - ნი - ნა - ვო  
 a - ba - de - lo de - li vo - de - li vo - de - lo da na - ni - na - vo  
 ა - დი - ლა - ვო და და ა ჰე ო  
 a - di - la - vo da da a he o

ნა - ნი - ნა და ვო - ი დე - ლო დე - ლი ვო - დე - ლი ვო - დე - ლო  
 na - ni - na da vo - i de - lo de - li vo - de - li vo - de - lo  
 ა ჰა ჰე ე ა ვა  
 a ha he e a va

trio

ი რ ი ა უ რ უ ა ი რ ი ა უ რ უ ა  
i - ri a u ru a i ri a u ru a

ნ ა - ნ ი - ნ ა      ხ ა - ს ა ნ - ბ ე - გ ი თ ა ვ - დ გ ი - რ ი - ძ ე  
na - ni - na      kha - san - be - gi tav - dgi - ri - dze

ვ ა                      ჰ ა ი                      ჰ ე                      ჰ ე  
va                      hai                      he                      he

ნ ა - ნ ა დ ე - ლ ო      ვ ო - დ ე - ლ ა      დ ა      დ ა  
na - na de - lo      vo - de - la      da      da

ა                      ა - დ ი - ლ ა      ა -      დ ი - ლ ა      დ ა  
a                      a - di - la      a -      di - la      da

ი რ ი ა უ რ უ ა ი რ ი ა უ რ უ ა      ი რ ი ა უ რ უ ა ი რ ი ა უ რ უ ა  
i ri a u ru a i ri a u ru a      i ri a u ru a i ri a u ru a

გ ა - რ ი - ს ხ უ - ლ ი ღ ვ თ ი ს - გ ა ნ ე რ - თ ი,      თ ა თ - რ ი ს ფ ა - შ ო - ბ ა ი ნ - დ ო - მ ა,  
ga - ri - skhu - li ghvtis - gan er - ti,      tat - ris pa - sho - ba in - do - ma,

ჰ ე      ვ ო ჰ ე ა ვ ო ა      ჰ ა ჰ ე ა ო ა      ჰ ა ი      ჰ ე      ჰ ე  
he      vo he a vo a      ha he a o a      hai      he      he

ი რ ი ა უ რ უ ა ი რ ი ა უ რ უ ა      ი რ ი ა უ რ უ ა ჰ ო უ რ უ ა ჰ ო  
i ri a u ru a i ri a u ru a      i ri a u ru a ho u ru a ho

ს უ ლ მ თ ლ ა დ დ ა - ი - ვ ი - წ ყ ა ღ მ ე რ - თ ი,      ნ ა - ნ ი - ნ ა      დ ე - ლ ო  
sul mtlad da - i - vi - ts'q'a ghmer - ti,      na - ni - na      de - lo

ჰ ე      ვ ო ჰ ე ა ვ ო დ ა      ჰ ე ი      დ ა      ჰ ე      ვ ო ჰ ე ა  
he      vo he a vo da      hei      da      he      vo he a

უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო  
 u ru a ho u ru a ho

დე - ლო ო - რე - რა - ვო და  
 de - lo o - re - ra - vo da

ო - რე - რო რე - რო რუ - დი - ლა ვო - დე - ლა - ვუ  
 o - re - ro re - ro ru - di - la vo - de - la - vu

ა - ბა - დე - ლა ა - დი - ლა ჰე ა ვა ჰაი ჰე ჰე ჰე ვო ჰე ა  
 a - ba - de - lo a - di - la he a va hai he he he vo he a

უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო ჰო ჰო  
 u ru a ho u ru a ho u ru a ho ho ho

დი - ლა ო - რე - რავ და ნა - ნი - ნა და და  
 di - la o - re - rav da na - ni - na da da

ვა ჰე ა ვო ა - დი - ლა და  
 va he a vo a - di - la da

choir

ა - ბა - დე - ლო  
 a - ba - de - lo

ა  
 a

ხა - სან - ბე - გი თავ - დგი - რი - ძე გა - რი - სხუ - ლი ღვთის - გან ერ - თი, ნა - ნი - ნა და  
 kha - san - be - gi tav - dgi - ri - dze ga - ri - skhu - li ghvtis - gan er - ti, na - ni - na da

დი - ლა - ვო და ა ა ჰე ა ა ჰა ჰე  
 di - la - vo da a a he a a ha he

თათ - რის ფა - შო - ბა ი - შო - ვა, სულ მთლად და - ი - ვი - წყა ღმერ - თი, დე - ლო ა - ბა - დე - ლო  
 tat - ris pa - sho - ba i - sho - va, sul mtlad da - i - vi - ts'q'a ghmer - ti, de - lo a - ba - de - lo

ე ა ვა ა ა - დი - ლა  
 e a va a a - di - la

trio

რიმ - ტი - რი რი - რა ჰა რუ რა ჰა ჰო ჰო დე - ლა ჰო  
 rim - t'i - ri ri - ra ha ru ra ha ho ho de - la ho

ნა - ნი - ნა შე - კვე - თილ - ში მო - ა - ღნი - ა, ი - ძა - ხო - და: ო - ლან - გე - თი,  
 na - ni - na she - kve - til - shi mo - a - ghts'i - a, i - dza - kho - da: o - lan - ge - ti,

ე ვო ჰე ა ვა  
 e vo he a va

ვო - დე - ლა და და  
 vo - de - la da da

აი - დი - ლა და  
 ai - di - la da

ტი - რი რი - რა ჰა რუ რა ჰა ჰო ჰო დე - ლა ჰო  
 t'i - ri ri - ra ha ru ra ha ho ho de - la ho

ლან - ჩხუ - თამ - დე თუ მო - ვი - და, მე - რე მე მი - ყუ - რე ერ - თი,  
 lan - chkhu - tam - de tu mo - mi - da, me - re me mi - q'u - re er - ti,

ა ჰაი ჰე ჰე ვო ჰე ა ვა ჰა ჰე ა  
 a hai he he vo he a va ha he a

ტი - რი რი - რა ჰა რუ რა ჰა ჰო ჰო დე - ლა ჰო  
 t'i - ri ri - ra ha ru ra ha ho ho de - la ho

ნა - ნი - ნა დე - ლო დე - ლო ო - რე - რა - ვო და  
 na - ni - na de - lo de - lo o - re - ra - vo da

ა ჰე ა ა ჰე ა ა - ბა - დე - ლა ა - დი - ლა ჰე ა  
 a he a a he a a - ba - de - la a - di - la he a

ტი - რი რი - რა ჰა ჰო რი - რა      ჰა ჰო დე - ლა ჰო  
 t'i - ri ri - ra ha ho ri - ra      ha ho de - la ho

ო -                      რუ - დი - ლა ვო - რე - რა      დე - ლა ა - დი - ლო დე - ლა და  
 o -                      ru - di - la vo - re - ra      de - la a - di - lo de - la da

ვა ჰაი ჰე ჰე ჰე                      ვა ჰე ა ვო ა - დი - ლა  
 va hai he he he                      va he a vo a - di - la

ჰო                      დი - ლა      ჰო  
 ho                      di - la      ho

და  
 da

და  
 da  
 choir

ა - ბა - დე - ლო      შე - კვე - თილ - ში მო - ა - ლნი - ა,      ი - ძა - ხო - და: ო - ლან - გე - თი,  
 a - ba - de - lo      she - kve - til - shi mo - a - ghtsi - a,      i - dza - kho - da: o - lan - ge - ti,

ა                      -                      დი - ლა - ვო და      ა                      ა      ჰე ა  
 a                      -                      di - la - vo da      a                      a      he a

ნა - ნი - ნა და      ლან - ჩხუ - თამ - დე თუ მო - ვი - და,      მე - რე მე მი - ყუ - რე ერ - თი, დე - ლო  
 na - ni - na da      lan - chkhu - tam - de tu mo - vi - da,      me - re me mi - q'u - re er - ti, de - lo

ა      ჰა ჰე                      ჰე                      ა ვა  
 a      ha he                      he                      a va

trio

ი რი ა უ რუ ა ი რი ა უ რუ ა  
i ri a u ru a i ri a u ru a

ნა - ნი - ნა ჩე - მი ძმა - ი ხა - სან - ფა - შა  
na - ni - na che - mi - dzma - i kha - san - pa - sha

ჰე ვო ჰე ვო ჰე ა  
he vo he vo he a

ა - ბა - დე - ლო ვო - დე - ლა და და  
a - ba - de - lo vo - de - la da da

ა - დი - ლა აი - დი - ლა და  
a - di - la ai - di - la da

ი რი ა უ რუ ა ი რი ა უ რუ ა ი რი ა უ რუ ა  
i ri a u ru a i ri a u ru a i ri a u ru a

თავ - მო - ქრი - ლი და - ვი - ნა - ხე, რად - გან ჩე - მი ძმა - ი ი - ცო,  
tav - mo - ch'ri - li da - vi - na - khe, rad - gan - che - mi dzma - i i - co,

ა ჰა ჰე ა ჰა ჰეი და ჰე ვო ჰე  
a ha he a ha hei da he vo he

ი რი ა უ რუ ა ი რი ა უ რუ ა ი რი ა უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო  
i ri a u ru a i ri a u ru a i ri a u ru a ho u ru a ho

ბო - ლოს მა - ინც მე დავ - მარ - ხე. ა - ბა - დე - ლო  
bo - los ma - ints me dav - mar - khe. a - ba - de - lo

ჰე ვო ჰე ა ვა ა ჰა ჰე ა აი ჰე ა აი ჰე ა  
he vo he a va a ha he a ai he a ai he a

უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო  
u ru a ho u ru a ho

უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო  
u ru a ho u ru a ho u ru a ho u ru a ho

დე-ლო ო-რე-რა-ვო და  
de-lo o-re-ra-vo da

ო - რუ-დი-ლა ვო-რე-რა  
o - ru-di-la vo-re-ra

ა - ბა-დე-ლა ა-დი-ლა ჰე ა ვა ჰა ჰე ჰე ჰე ვო ჰე ა  
a - ba-de-la a-di-la he a va ha he he he vo he a

უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო ჰო  
u ru a ho u ru a ho u ru a ho ho

ჰო დი-ლა ჰო  
ho di-la ho

დე-ლა ა-დი-ლო დე-ლა და  
de-la a-di-lo de-la da

და და  
da da

ა ჰე ა ვა ა-დი-ლა და  
a he a va a-di-la da

choir

ვო-ი დე-ლო ხა-სან-ბე-გი თავ-დგი-რი-ძე  
vo-i de-lo kha-san-be-gi tav-dgi-ri-dze

ა - დი-ლა-ვო და  
a - di-la-vo da

trio and choir

ი რი ა უ რუ ა ჰო უ რუ ა ჰო  
i ri a u ru a ho u ru a ho

თავ-მო-ჭრი-ლი და-ვი-ნა-ხე, ნა-ნი-ნა და რად-გან ჩე-მი ძმა-ი ი-ყო,  
tav-mo-ch'ri-li da-vi-na-khe, na-ni-na da rad-gan che-mi dzma-i i-q'o,

ა ა ჰე ა ა ჰა ჰე  
a a he a a ha he




ი რ ი ა ჰო უ რუ ა ჰო ო - რე - რა    ა - ბა - დე - ლო    ო - დე - ლა და    და  
 i r i a h p' u r u a h p' o - r e - r a    a - b a - d e - l o    o - d e - l a d a    d a

ა - ბა - დე - ლო    ვო - დე - ლა და    და  
 a - b a - d e - l o    v o - d e - l a d a    d a

ა    ა - დი - ლა    აი - დი - ლა - ვო და  
 a    a - d i - l a    a i - d i - l a - v o d a

ბო - ლოს მა - ინც მე დავ - მარ - ხე. დე - ლო    ა - ბა - დე - ლო    ვო - დე - ლა და    და  
 b o - l o s m a - i n t s m e d a v - m a r - k h e . d e - l o    a - b a - d e - l o    v o - d e - l a d a    d a

ჰე    ა ვა    ა    ა - დი - ლა    აი - დი - ლა - ვო და  
 h e    a v a    a    a - d i - l a    a i - d i - l a - v o d a



აღებულია ლევან ვეშაპიძის კრებულიდან  
 „გურული ხალხური სიმღერები“

რედაქტორი:  
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:  
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
მაკა ხარძიანი  
ლევან ვეშაპიძე

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის  
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2013

eISSN 1512-228X

**ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად**

**ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.**

**მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.**

**ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187**

**ელ-ფოსტა: [polyphony@polyphony.ge](mailto:polyphony@polyphony.ge); [polyphony@conservatoire.edu.ge](mailto:polyphony@conservatoire.edu.ge);**

**[www.polyphony.ge](http://www.polyphony.ge)**

---

**ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2013 წლის ივნისში**